

# სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება  
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალიდან თარგმანს

## შინაარსი

|                                                                    |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე                 | 3  |
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა                                     | 4  |
| ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება                   | 7  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება | 8  |
| ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება                         | 9  |
| კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება                      | 10 |
| ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები                    | 11 |



## მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც წარმოდგენილია 9-დან 48-ე გვერდის ჩათვლით, პასუხისმგებელია სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ (შემდგომში „კომპანია“) მენეჯმენტი.


ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:


- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს ფინანსური აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემები;
- აწარმოოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, კომპანიის აქტივების დასაცავად;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები.

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის მიერ:

  
პაატა ლომაძე  
გენერალური დირექტორი  
სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

  
ლევან ზუროშვილი  
ფინანსური დირექტორი  
სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

თარიღი: 16 მარტი, 2017 წ.





შპს "KPMG Georgia"

4, ბესიკის ქ,  
თბილისი, 0108,  
საქართველო

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: [www.kpmg.ge](http://www.kpmg.ge)

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"-ს  
სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის" (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება, რაც მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, და ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ინდივიდუალური ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს, ევროკავშირის მიერ მიღებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

## დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

## ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ევროკავშირის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს



უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი



აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;


- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

ენდრიუ კოქსშელი

შპს „KPMG Georgia“  
16 მარტი 2017 წ.






სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“


ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                          |    | 31-დეკ-2016<br>ლარი'000 | 31-დეკ-2015<br>ლარი'000 |
|------------------------------------------|----|-------------------------|-------------------------|
| ძირითადი საშუალებები                     | 12 | 1,347                   | 1,608                   |
| არამატერიალური აქტივები                  |    | 1,513                   | 1,555                   |
| საინვესტიციო ქონება                      | 13 | 166                     | 2,966                   |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში        | 14 | 12,768                  | 13,580                  |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი         | 11 | 232                     | -                       |
| საბანკო დეპოზიტები                       | 22 | 16,223                  | 15,537                  |
| გაცემული კრედიტები                       |    | 792                     | 1,133                   |
| გადაზღვევის აქტივები                     | 8  | 11,350                  | 13,697                  |
| სადაზღვევო მოთხოვნები                    | 22 | 35,072                  | 33,130                  |
| გადავადებული აკვიზიციური ხარჯები         |    | 7,305                   | 6,517                   |
| სხვა აქტივები                            | 15 | 12,856                  | 7,191                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები              | 16 | 7,602                   | 7,008                   |
| სულ აქტივები                             |    | <b>107,226</b>          | <b>103,922</b>          |
| საკუთარი კაპიტალი                        |    |                         |                         |
| ჩვეულებრივი აქციები                      | 17 | 12,232                  | 12,232                  |
| საემისიო კაპიტალი                        |    | 126                     | 126                     |
| გაუნაწილებელი მოგება                     |    | 18,250                  | 17,460                  |
| სულ საკუთარი კაპიტალი                    |    | <b>30,608</b>           | <b>29,818</b>           |
| ვალდებულებები                            |    |                         |                         |
| სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები   | 7  |                         |                         |
| სადაზღვევო პრემიის რეზერვები             |    | 39,014                  | 35,324                  |
| ასანაზღაურებელი ზარალები                 |    | 11,377                  | 10,547                  |
| სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებები  | 18 | 8,098                   | 12,772                  |
| საინვესტიციო ხელშეკრულების ვალდებულებები | 19 | 5,906                   | 5,242                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები            | 20 | 12,223                  | 10,022                  |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება    | 11 | -                       | 197                     |
| სულ ვალდებულებები                        |    | <b>76,618</b>           | <b>74,104</b>           |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები   |    | <b>107,226</b>          | <b>103,922</b>          |

  
პაატა ლომაძე

გენერალური დირექტორი

თარიღი: 16 მარტი 2017 წ.

  
ლევან ზუროშვილი  
ფინანსური დირექტორი


თანდართული შენიშვნები 11-დან 47-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი


მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                                               |          | 2016            | 2015            |
|---------------------------------------------------------------|----------|-----------------|-----------------|
|                                                               | შენიშვნა | ლარი'000        | ლარი'000        |
| შემოსავლები                                                   |          |                 |                 |
| მოზიდული პრემია, ბრუტო                                        |          | 87,064          | 71,009          |
| მინუს: გადამზღვეველის წილი მოზიდულ პრემიაში                   |          | (20,246)        | (17,127)        |
| მოზიდული პრემია, ნეტო                                         |          | <b>66,818</b>   | 53,882          |
| გამომუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილება, ნეტო                |          | (3,601)         | (3,285)         |
| გამომუშავებული პრემია, ნეტო                                   | 5        | <b>63,217</b>   | <b>50,597</b>   |
| საკომისიო შემოსავალი                                          |          | 5,780           | 5,512           |
| საინვესტიციო შემოსავალი                                       | 6        | 4,541           | 4,958           |
| სულ შემოსავალი                                                |          | <b>73,538</b>   | <b>61,067</b>   |
| ხარჯები                                                       |          |                 |                 |
| ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები, ბრუტო                      | 7        | (46,845)        | (52,519)        |
| გადამზღვეველის წილი ანაზღაურებულ სადაზღვევო ზარალებში         | 8        | 7,522           | 17,820          |
| ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვში                        | 7        | (830)           | 2,554           |
| ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში, გადამზღვეველის წილი | 8        | (2,436)         | (1,048)         |
| სადაზღვევო ზარალები, ნეტო                                     |          | <b>(42,589)</b> | <b>(33,193)</b> |
| საპროცენტო ხარჯი                                              |          | (263)           | (250)           |
| პირდაპირი აკვიზიციის და სადაზღვევო საკომისიო ხარჯი            |          | (8,719)         | (7,353)         |
| სხვა აკვიზიციური ხარჯები                                      | 9        | (11,178)        | (9,148)         |
| ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში                      |          | 788             | 1,515           |
| სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები                    | 10       | (4,457)         | (5,379)         |
| სულ ხარჯები                                                   |          | <b>(66,418)</b> | <b>(53,808)</b> |
| მოგება დაბეგვრამდე                                            |          | 7,120           | 7,259           |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                     | 11       | (1,170)         | (1,190)         |
| წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი                |          | <b>5,950</b>    | <b>6,069</b>    |

  
კაკია ლომაძე

გენერალური დირექტორი

თარიღი: 16 მარტი 2017 წ.

  
ლევან ჯუროშვილი  
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 11-დან 47-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



| შენიშვნა                                                                                                               | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან<br>წლის წმინდა მოგება                                                         | 5,950            | 6,069            |
| <b>კორექტირებები:</b>                                                                                                  |                  |                  |
| ვვეთა და ამორტიზაცია                                                                                                   | 792              | 649              |
| კაუფასურების ზარალი ინვესტიციებზე შვილობილ<br>კომპანიებში                                                              | 812              | -                |
| მოგება საინვესტიციო ქონების და ძირითადი საშუალებების<br>რეალიზაციიდან                                                  | (1,065)          | -                |
| აპროცენტო შემოსავალი                                                                                                   | (1,479)          | (1,590)          |
| აპროცენტო ხარჯი                                                                                                        | 263              | 250              |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                              | 1,170            | 1,190            |
| ვვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯში                                                                                 | (788)            | (1,515)          |
|                                                                                                                        | <b>5,655</b>     | <b>5,053</b>     |
| ვვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში<br>ვვლილება პრემიის რეზერვებში, ნეტო (გადამზღვევლის წილის<br>გარეშე) | 3,601            | 3,285            |
| ვვლილება აუნაზღაურებელ სადაზღვევო მოთხოვნებში, ნეტო<br>(გადამზღვევლის წილის გარეშე)                                    | 3,266            | (1,506)          |
| ვვლილება სადაზღვევო მოთხოვნებში                                                                                        | (1,942)          | (3,845)          |
| ვვლილება სხვა აქტივებში                                                                                                | (2,399)          | (1,768)          |
| ვვლილება სხვა ვალდებულებებსა და საინვესტიციო<br>კონტრაქტების ვალდებულებებში                                            | (2,001)          | 7,740            |
| ვვლილებები საბანკო დეპოზიტებში                                                                                         | (541)            | (1,704)          |
|                                                                                                                        | <b>5,639</b>     | <b>7,255</b>     |
| კადახდილი მოგების გადასახადი                                                                                           | (1,483)          | (1,106)          |
| პიღებული პროცენტი                                                                                                      | 1,314            | 1,666            |
| წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                                                        | <b>5,470</b>     | <b>7,815</b>     |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან<br>ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების<br>შეძენა              | (605)            | (1,162)          |
| აესხების გაცემა                                                                                                        | (440)            | (96)             |
| აასესხო მოთხოვნების დაფარვა                                                                                            | 614              | 6,629            |
| შემოსავალი საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან                                                                          | 715              | -                |
| ააინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი<br>ნაკადები                                                      | <b>284</b>       | <b>5,371</b>     |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან                                                                              |                  |                  |
| კადახდილი დივიდენდები                                                                                                  | (5,160)          | (9,940)          |
| ფინანსური საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი<br>ნაკადები                                                         | <b>(5,160)</b>   | <b>(9,940)</b>   |
| ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა / (კლება)                                                                           | <b>594</b>       | <b>3,246</b>     |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში                                                                            | <b>7,008</b>     | <b>3,762</b>     |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს                                                                                 | <b>7,602</b>     | <b>7,008</b>     |

3.  
პაატა ლომაძე

გენერალური დირექტორი

თარიღი: 16 მარტი 2017 წ.


ლევან ზუროშვილი  
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 11-დან 47-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი  
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                                                | გამოშვებული<br>და გადახდილი<br>კაპიტალი<br>ლარი'000 | საემისიო<br>კაპიტალი<br>ლარი'000 | გაუნაწილებელ<br>ი მოგება<br>ლარი'000 | სულ<br>კაპიტალი<br>ლარი'000 |
|----------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------|----------------------------------|--------------------------------------|-----------------------------|
| ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით                      | 12,232                                              | 126                              | 21,589                               | 33,947                      |
| პირდაპირ კაპიტალში<br>აღრიცხული ტრანზაქციები<br>მესაკუთრეებთან |                                                     |                                  |                                      |                             |
| დივიდენდის განაწილება<br>წლის მთლიანი წმინდა<br>შემოსავალი     | -                                                   | -                                | (10,198)                             | (10,198)                    |
| წლის მოგება                                                    | -                                                   | -                                | 6,069                                | 6,069                       |
| ნაშთი 2015 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით                   | 12,232                                              | 126                              | 17,460                               | 29,818                      |
| ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით                      | 12,232                                              | 126                              | 17,460                               | 29,818                      |
| პირდაპირ კაპიტალში<br>აღრიცხული ტრანზაქციები<br>მესაკუთრეებთან |                                                     |                                  |                                      |                             |
| დივიდენდის განაწილება<br>წლის მთლიანი წმინდა<br>შემოსავალი     | -                                                   | -                                | (5,160)                              | (5,160)                     |
| წლის მოგება                                                    | -                                                   | -                                | 5,950                                | 5,950                       |
| ნაშთი 2016 წლის 31<br>დეკემბრის მდგომარეობით                   | 12,232                                              | 126                              | 18,250                               | 30,608                      |



პაატა ლომაძე

გენერალური დირექტორი

თარიღი: 16 მარტი 2017 წ.



ლევან ჯუროშვილი

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 11-დან 47-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



## შენიშვნა 1. საწარმო

### ა. საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანია“ საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს მენეჯმენტის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამ შეფასებებისაგან.

### ბ. ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „GPIH“) შეიქმნა საქართველოში 2001 წელს. „კომპანიის“ იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 67. „კომპანია“ ფლობს საქართველოში სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურებების გაწევის ლიცენზიას. თუმცა, სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ ახდენს მხოლოდ ჯანმრთელობის ქონებისა და არასიცოცხლის სეგმენტების დაზღვევის შეთავაზებას. „კომპანია“ ასევე მართავს კერძო საპენსიო ფონდს საქართველოში.

2015 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე უფლებამოსილების გაცემის თარიღისთვის, ჩვეულებრივი აქციების 90%-ს ფლობს „GPIH B.V.“, ხოლო დანარჩენ 10%-ს შპს „სოფტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“.

„კომპანიის“ შუალედური მშობელია „VIENNA INSURANCE GROUP AG Wiener Versicherung Gruppe“, ვენა (შემდგომში „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“). „კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Wiener Stadtische Wechselseitiger Versicherungsverein – Vermögensverwaltung – Vienna Insurance Group“, ვენა.

## შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

### ა. განაცხადი შესაბამისობაზე

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

„კომპანია“ არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს 10-ზე (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება) დაყრდნობით, რადგან ის წარმოადგენს სხვა საწარმოს ნაწილობრივ შვილობილს და მისი სხვა მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ და წინააღმდეგობა არ გამოუხატავთ იმასთან დაკავშირებით, რომ „კომპანია“ არ წარმოადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „კომპანიის“ სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა არ ხორციელდება საჯარო ბაზარზე. „კომპანია“ თავისი ფინანსური ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არ წარადგენდა და არც ახლა იმყოფება ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის პროცესში, საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ინსტრუმენტის გამოშვების მიზნებისათვის. „კომპანიის“ შუალედური მშობელი - „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“, გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის მიერ აღიარებულ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

„ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.vig.com](http://www.vig.com).



### შენიშვნა 3. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (GEL), რომელიც წარმოადგენს „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას და წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ვალუტას.

ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

### შენიშვნა 4. დაშვებების და შეფასებების გამოყენება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებათა ევროკავშირის ფასს-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

ხელმძღვანელობას არ მიუღია რაიმე კრიტიკული გადაწყვეტილება გარდა გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მოიცავს „კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკების საფუძველზე გაკეთებული შეფასებებისა, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

ინფორმაცია შეფასებების არასარწმუნოების და კრიტიკული მსჯელობების სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 7 - სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებიდან
- შენიშვნა 21 (C) - სადაზღვევო რისკების კონცენტრაცია;

### რეალური ღირებულების განსაზღვრა

„კომპანიის“ რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის რეალური ღირებულების განსაზღვრას. რეალური ღირებულება განისაზღვრა განმარტებითი შენიშვნების მიზნით.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრისას „კომპანია“ შესაძლებლობის ფარგლებში იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

რეალური ღირებულებები იყოფა რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- *პირველი დონე*. კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასები აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *მეორე დონე*. მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ჩართულია პირველ დონეში და დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (ე.ი. ფასები), ისე - ირიბად (ე.ი. წარმოქმნილია ფასებიდან).
- *მესამე დონე*. მონაცემები აქტივების ან ვალდებულებების შესახებ, რომლებიც არ ეფუძნება ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული მონაცემები უნდა დაიყოს რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებად, რეალური ღირებულების



განსაზღვრა მთლიანად იყოფა რეალური ღირებულების იერარქიის იგივე დონედ, როგორც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია რეალური ღირებულების შეფასებისას გაკეთებულ დაშვებებზე მოცემულია 22-ე შენიშვნაში - ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა.

## შენიშვნა 5. სადაზღვევო პრემიები, ნეტო

|                                                                              | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| მოზიდული პრემია არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტების მიხედვით (ბრუტო)         |                  |                  |
| სულ მოზიდული პრემია                                                          | 87,064           | 71,009           |
| გადამზღვეველის წილი მთლიან მოზიდულ პრემიაში სადაზღვევო კონტრაქტების მიხედვით |                  |                  |
| გადამზღვეველის მთლიანი წილი მოზიდულ პრემიაში                                 | (20,246)         | (17,127)         |
| ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ბრუტო                              | (3,690)          | (1,535)          |
| გადაზღვევა                                                                   | 89               | (1,750)          |
| ნეტო                                                                         | (3,601)          | (3,285)          |
| მთლიანი გამომუშავებული პრემია, ნეტო                                          | 63,217           | 50,597           |

## შენიშვნა 6. საინვესტიციო შემოსავლები

|                                                                    | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|--------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| წმინდა შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან                           | 2,076            | 2,842            |
| ზარალი ვალუტის საფორვადრო კონტრაქტებიდან                           | (280)            | (850)            |
| საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან                        | 1,420            | 1,163            |
| საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე                             | 59               | 427              |
| შემოსავალი იჯარიდან                                                | 40               | 36               |
| მოგება საინვესტიციო ქონების და ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | 1,065            | -                |
| შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება       | (812)            | -                |
| სხვა                                                               | 973              | 1,340            |
|                                                                    | 4,541            | 4,958            |



## შენიშვნა 7. სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები

|                                                              | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|--------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| არასიცოცხლის კონტრაქტები:                                    |                       |                       |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი                              | 39,014                | 35,324                |
| გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი (RBNS) | 10,121                | 9,618                 |
| მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)      | 1,256                 | 929                   |
|                                                              | <b>50,391</b>         | <b>45 71</b>          |

### ა. სადაზღვევო ზარალების რეზერვების მოძრაობა (ბრუტო)

|                                                                                              | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|----------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| ნაშთი 1 იანვრისთვის                                                                          | 10,547           | 13,101           |
| მიმდინარე წლის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევების მოსალოდნელი ღირებულება (შენიშვნა 21 (D)) | 48,885           | 47,980           |
| წინა წელს მომხდარი ზარალების შეფასების ცვლილება                                              | (1,210)          | 1,985            |
| გადახდილი ზარალები წლის განმავლობაში                                                         | (46,845)         | (52,519)         |
| ნაშთი 31 დეკემბრისთვის                                                                       | <b>11,377</b>    | <b>10,547</b>    |

### ბ. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის მოძრაობა (ბრუტო)

|                                         | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|-----------------------------------------|------------------|------------------|
| ნაშთი 1 იანვრისათვის                    | 35,324           | 33,789           |
| მოზიდული პრემია წლის განმავლობაში       | 87,064           | 71,009           |
| გამომუშავებული პრემია წლის განმავლობაში | (83,374)         | (69,474)         |
| ნაშთი 31 დეკემბრისთვის                  | <b>39,014</b>    | <b>35,324</b>    |

### გ. სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო ვალდებულებების განსაზღვრის მეთოდები

#### (i) გამოუმუშავებელი პრემიების ანარიცხები

გამოუმუშავებელი პრემიების ანარიცხები ეფუძნება მოზიდულ პრემიებს და გამოითვლება პროპორციულობის საფუძველზე, პოლისის მომავალი პერიოდის შესაბამისად, რომლის პრემიაც იქნა მოზიდული.

#### (ii) აღნაზღაურებელი მოთხოვნების ანარიცხები

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის გაკეთდა შეფასებები მოთხოვნების მაქსიმალური მოსალოდნელი ღირებულებისთვის, რომელიც აღირიცხა საანგარიშგებო დღეს, მაგრამ მასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია ანგარიშსწორებას (RBNS) და მოთხოვნების მაქსიმალურ მოსალოდნელ ღირებულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები, რომლებიც ჯერ არ არის აღრიცხული ანგარიშგების დღისთვის (IBNR).

RBNS შექმნილია უკვე გაცხადებული ზარალებისთვის და მოიცავს მათთან დაკავშირებულ დარეგულირებისა და მართვის ხარჯებსაც. ეს ანარიცხი ძირითადად ეფუძნება ზარალების ინდივიდუალურ შეფასებას, დამზღვევის, იურიდიული მრჩეველების და „კომპანიის“ ექსპერტების შეხედულებისამებრ, რომლებიც ამუშავებენ მოთხოვნას.



მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების (IBNR) რეზერვის დათვლა ხდება აქტუარის მიერ. IBNR-ის აქტუარული გამოთვლის მეთოდი მოიცავს ისეთ კალკულაციებს, როგორიც არის „ჯაჭვის კიბე“ (CHAIN LADDER) და ბომჰუტერ-ფერგიუსონის მეთოდი (Bornheutter-Ferguson) საშუალო გადახდას თითოეული ზარალის ტიპისთვის ან, ზოგიერთ შემთხვევაში, თუ სტატისტიკური მეთოდი არ ამართლებს, გამოიყენება ზარალიანობის კოეფიციენტის მეთოდი. აქტუარები იყენებენ დაშვებებს იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც მათ დაუგროვდათ გადახდილი ზარალების, ზარალების რაოდენობისა და საშუალო მაჩვენებლების სახით. აქტუარები ახორციელებენ შეფასებას მოთხოვნების ანაზღაურების, ანგარიშგებული მოთხოვნების რაოდენობისა და კონკრეტული შემთხვევის რეზერვების შესახებ მონაცემების გამოყენებით.

### *(iii) რეზერვების დადგენისას გამოყენებული გამოთვლები და მოდელები*

ასანაზღაურებელი ზარალების შესაფასებლად ან ზარალების დეპარტამენტებისთვის თითოეულ ზარალზე გათვალისწინებული რეზერვის შესაქმნელად IBNR-სთვის, ხდება ქვემოთ განმარტებული სტატისტიკური მოდელების გამოყენება სხვადასხვა დაშვებებთან კომბინაციაში:

- ჯაჭვის კიბე (Chain Ladder): ეს მეთოდი ეფუძნება ზარალების ისტორიას (ანაზღაურებების სიხშირე და/ან პრეტენზიების სიხშირე, ზარალების რაოდენობა და ა.შ.) ამჟამინდელი და სამომავლო ზარალების სავარაუდო გაცხადების შესაფასებლად. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს შესაბამისი რეზერვის შექმნას იმ ზარალებისთვის, რომლებიც გაცხადდება ზარალის მოხდენიდან ან პოლისის გაცემიდან საკმარისი დროის გასვლის შემდეგ და მაშინ, როდესაც დაგროვილი იქნება საკმარისი ინფორმაცია არსებული ზარალებიდან, მთლიანი მოსალოდნელი ზარალების შეფასების მიზნით.
- ბომჰუტერ-ფერგიუსონი (ან მისი მოდიფიცირებული ვერსია): ეს მეთოდი აერთიანებს კომპანიისთვის, ან სადაზღვევო პროდუქტისათვის ცნობილ ადრეულ პირობით მაჩვენებლებს, და თავად ზარალებზე დაფუძნებულ, დამატებით პირობით მაჩვენებლებს. ადრეული მიახლოებითი მაჩვენებლები იყენებენ პრემიების და დანაკარგების ინდექსს, ზარალების საერთო რაოდენობის შესაფასებლად. მეორე პირობითი მაჩვენებელი იყენებს ზარალების ფაქტობრივი რაოდენობის გამოცდილებას, რომელიც სხვა მეთოდით (მაგალითად „ჯაჭვის კიბით“) დაანგარიშდება. ზარალების გაერთიანებული შეფასებისას ხდება ორივე პირობითი მაჩვენებლის გაანალიზება, თუმცა ფაქტობრივი არსებული ზარალების გამოცდილებას მეტი წონა ენიჭება, და დროთა განმავლობაში, გროვდება ზარალებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ყველაზე შესაფერისია მიმდინარე პერიოდისთვის, თუ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია ზარალების შესახებ, იმ სადაზღვევო პროდუქტებში, რომლებიც ახალია ან რომლებთან დაკავშირებითაც არასაკმარისი ისტორიული სტატისტიკური ინფორმაცია არსებობს.
- საშუალო ანაზღაურება ზარალზე: მაშინ როდესაც ბომჰუტერ-ფერგიუსონის მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, უკანასკნელ პერიოდში ზარალების ისტორიის უკმარისობის გამო, გამოიყენება ისტორიული საშუალო არითმეტიკულის მეთოდი. ამ მეთოდში, ინფორმაცია გამოითვლება ზარალების პროგნოზირებად რიცხვზე დაყრდნობით („ჯაჭვის კიბის“ მეთოდი) და ზარალების ისტორიული საშუალო მოცულობით.

ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის განსაზღვრისას არ ხდება დეტალური გამოთვლების ჩატარება, გარდა ზოგადი, ფართოდ აპრობირებული გაანგარიშებისა, რომ ზარალების გაცხადებასთან და მის ანაზღაურების ფაქტორებთან დაკავშირებით განმეორდება წარსულის გამოცდილება, მხოლოდ იმ ცვლილებებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ზარალების სიხშირიდან და ხარისხიდან გამომდინარე, ასევე რეგულაციების ცვლილებებით, პოლისის პირობებით, კლიენტთა ფონდის შემადგენლობით და სხვა ფაქტორებით. ყველა სხვა დაშვება ხდება თითოეული ზარალის მიხედვით, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის ზარალთან დაკავშირებული დავის მოგების ალბათობა.



ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს „კომპანია“ შემდეგნაირად ატარებს:

- ა) ვალდებულებათა უმრავლესობაში (მაგალითად სატრანსპორტო და ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესისთვის) ასანაზღაურებელი ზარალებისათვის გადამზღვევის წილის, სუბროგაციისა და კომპენსაციის გამოკლებით, ტარდება სტატისტიკური ანალიზი, იმისათვის, რომ დადგინდეს შექმნილი რეზერვი საკმარისია (შესაბამისი აქტივების გამოკლებით) თუ არა სამომავლო ზარალებისათვის. თუ რეზერვები არასაკმარისია, ხდება მათი გაზრდა მოგება-ზარალის უწყისის გავლით.
- ბ) ამოუწურავი რისკების რეზერვის ვალდებულებების (გამოუმუშავებელი ანაზღაურების რეზერვი გადავადებული აკვიზიციური ხარჯის გამოკლებით) შესაფასებლად ხდება აქტუარული გათვლები მომავალი ზარალიანობის კოეფიციენტის შესაბამისად არსებულ, ძალაში მყოფ კონტრაქტებზე. თუ მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტი აჩვენებს, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს გამოკლებული გადავადებული აკვიზიციური ხარჯი არაადეკვატურია, ხდება მისი შემცირება, და საჭიროების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის გაზრდა ადეკვატურ დონემდე.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულების ადეკვატურობის ტესტის შედეგად არ გამოვლინდა გადავადებული აკვიზიციის ხარჯის შემცირების საჭიროება. (2015 წლის 31 დეკემბერს: 196 ათასი ლარი).

## შენიშვნა 8. გადაზღვევის აქტივები

|                                                             | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|-------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი – გადაზღვევა                | 7,493                 | 7,404                 |
| აუნაზღაურებელი ზარალების რეზერვი – გადაზღვევა               | 3,857                 | 6,293                 |
|                                                             | <b>11,350</b>         | <b>13,697</b>         |
| მომდარაბა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში -<br>გადაზღვევა  | <b>2016</b>           | <b>2015</b>           |
|                                                             | ლარი'000              | ლარი'000              |
| ნაშთი 1 იანვრისთვის                                         | 7,404                 | 9,154                 |
| გადაზღვევის პრემია წლის განმავლობაში                        | 20,246                | 17,127                |
| გამომუშავებული პრემია წლის განმავლობაში                     | (20,157)              | (18,877)              |
| ნაშთი 31 დეკემბრისთვის                                      | <b>7,493</b>          | <b>7,404</b>          |
| მომდარაბა აუნაზღაურებელი ზარალების რეზერვში -<br>გადაზღვევა | <b>2016</b>           | <b>2015</b>           |
|                                                             | ლარი'000              | ლარი'000              |
| ნაშთი 1 იანვრისთვის                                         | 6,293                 | 7,341                 |
| მიმდინარე წლის განმავლობაში მომხდარი ზარალები               | 5,086                 | 16,772                |
| გადაზღვევის წილი მთლიან სარგებელში და<br>გადახდილი ზარალები | (7,522)               | (17,820)              |
| ნაშთი 31 დეკემბრისთვის                                      | <b>3,857</b>          | <b>6,293</b>          |



## შენიშვნა 9. სხვა აკვიზიციური ხარჯები

|                            | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|----------------------------|------------------|------------------|
| ანაზღაურებები და ხელფასები | 7,475            | 5,925            |
| მარკეტინგის ხარჯები        | 2,040            | 1,776            |
| საოფისე ხარჯები            | 924              | 779              |
| ცვეთა                      | 408              | 354              |
| მივლინებები                | 34               | 31               |
| სხვა                       | 297              | 283              |
|                            | <b>11,178</b>    | <b>9,148</b>     |

## შენიშვნა 10. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                            | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|----------------------------|------------------|------------------|
| ანაზღაურებები და ხელფასები | 2,962            | 3,316            |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | 268              | 225              |
| სხვა                       | 1,227            | 1,838            |
|                            | <b>4,457</b>     | <b>5,379</b>     |

## შენიშვნა 11. მოგების გადასახადის ხარჯი

„კომპანიის“ საგადასახადო განაკვეთია მოგების გადასახადის 15%-იანი (2015 წელს: 15%) განაკვეთი.

|                                                                                 | 2016<br>ლარი'000 | 2015<br>ლარი'000 |
|---------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი                                             | 1,599            | 1,133            |
| ცვლილება კანონმდებლობაში                                                        | (307)            | -                |
| დროებითი სხვაობების წარმოშობა და ამობრუნება                                     | (122)            | 57               |
| სულ მოგების გადასახადის ხარჯი                                                   | <b>1,170</b>     | <b>1,190</b>     |
| ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:                                      |                  |                  |
| მოგება დაბეგვრამდე                                                              | 7,120            | 7,259            |
| მოგების გადასახადი შესაბამისი საგადასახადო განაკვეთით                           | 1,068            | 1,089            |
| ცვლილება კანონმდებლობაში                                                        | (307)            | -                |
| შემოსავლების და ხარჯების საგადასახადო და ფასს-ის შესაბამის ბაზებს შორის სხვაობა | 409              | -                |
| წმინდა გამოუქვითავი ხარჯი                                                       | -                | 101              |
|                                                                                 | <b>1,170</b>     | <b>1,190</b>     |



(ა) მოძრაობა დროებით განსხვავებებში წლის განმავლობაში

|                                                    | 01 იანვარი 2016 | აღიარებულია<br>მოგება-ზარალი | 31 დეკემბერი<br>2016 |
|----------------------------------------------------|-----------------|------------------------------|----------------------|
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                  | -               | 122                          | 122                  |
| ძირითადი საშუალებები და<br>არამატერიალური აქტივები | (21)            | 21                           | -                    |
| სადაზღვევო მოთხოვნები                              | 478             | (419)                        | 59                   |
| სხვა მოთხოვნები, ნეტო                              | 409             | (358)                        | 51                   |
| გადავადებული აკვიზიციის ხარჯი                      | (912)           | 912                          | -                    |
| სხვა ვალდებულებები                                 | (151)           | 151                          | -                    |
|                                                    | <b>(197)</b>    | <b>429</b>                   | <b>232</b>           |
|                                                    |                 |                              |                      |
|                                                    | 01 იანვარი 2015 | აღიარებულია<br>მოგება-ზარალი | 31 დეკემბერი<br>2015 |
| ძირითადი საშუალებები და<br>არამატერიალური აქტივები | (56)            | 35                           | (21)                 |
| სადაზღვევო მოთხოვნები                              | 362             | 116                          | 478                  |
| სხვა მოთხოვნები, ნეტო                              | 325             | 84                           | 409                  |
| გადავადებული აკვიზიციის ხარჯი                      | (560)           | (352)                        | (912)                |
| სხვა ვალდებულებები                                 | (211)           | 60                           | (151)                |
|                                                    | <b>(140)</b>    | <b>(57)</b>                  | <b>(197)</b>         |

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებით (რომელიც ასევე ცნობილია კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელწოდებით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოიცავს 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასახადო პერიოდებს ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ზემოთ აღნიშნული ცვლილების ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს 2019 წლის პირველი იანვრიდან არ ექნებათ სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად არ წარმოიშვება გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები საანგარიშგებო თარიღამდე შევიდა, გადავადებულ საგადასახადო აქტივად აღიარებულია 232 ათასი ლარი, რომელიც რეალიზდება 2019 წლის პირველ იანვრამდე, რომელთან მიმართებაშიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას გამოსაქვითი დროებითი სხვაობები.



## შენიშვნა 12. ძირითადი საშუალებები

| ლარი'000                               | მიწა და<br>შენობები | კომპიუტერები და<br>დაკავშირებული<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | საოფისე<br>ავეჯი და<br>აღჭურვილობა | სულ          |
|----------------------------------------|---------------------|-------------------------------------------------|-----------------------------|------------------------------------|--------------|
| <b>ღირებულება</b>                      |                     |                                                 |                             |                                    |              |
| 1 იანვარი, 2016 წ.                     | 1,839               | 1,705                                           | 328                         | 1,001                              | 4,873        |
| დამატებები                             | 32                  | 157                                             | 112                         | 155                                | 456          |
| გაყიდვები                              | (655)               | -                                               | (121)                       | (108)                              | (884)        |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.                  | <b>1,216</b>        | <b>1,862</b>                                    | <b>319</b>                  | <b>1,048</b>                       | <b>4,445</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                 |                     |                                                 |                             |                                    |              |
| 1 იანვარი, 2016 წ.                     | 857                 | 1,301                                           | 248                         | 859                                | 3,265        |
| პერიოდის დარიცხვა                      | 228                 | 162                                             | 44                          | 82                                 | 516          |
| გაყიდვა                                | (655)               | -                                               | (25)                        | (3)                                | (683)        |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.                  | <b>430</b>          | <b>1,463</b>                                    | <b>267</b>                  | <b>938</b>                         | <b>3,098</b> |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                     |                                                 |                             |                                    |              |
| 31 დეკემბერი, 2016 წ.                  | <b>786</b>          | <b>399</b>                                      | <b>52</b>                   | <b>110</b>                         | <b>1,347</b> |
| <b>ღირებულება</b>                      |                     |                                                 |                             |                                    |              |
| 1 იანვარი, 2015 წ.                     | 1,812               | 1,563                                           | 328                         | 1,105                              | 4,808        |
| დამატებები                             | 27                  | 142                                             | -                           | 75                                 | 244          |
| გაყიდვა                                | -                   | -                                               | -                           | (179)                              | (179)        |
| 31 დეკემბერი, 2015 წ.                  | <b>1,839</b>        | <b>1,705</b>                                    | <b>328</b>                  | <b>1,001</b>                       | <b>4,873</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                 |                     |                                                 |                             |                                    |              |
| 1 იანვარი, 2015 წ.                     | 668                 | 1,137                                           | 194                         | 731                                | 2,730        |
| პერიოდის დარიცხვა                      | 189                 | 164                                             | 54                          | 128                                | 535          |
| 31 დეკემბერი, 2015 წ.                  | <b>857</b>          | <b>1 301</b>                                    | <b>248</b>                  | <b>859</b>                         | <b>3,265</b> |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                     |                                                 |                             |                                    |              |
| 31 დეკემბერი, 2015 წ.                  | <b>982</b>          | <b>404</b>                                      | <b>80</b>                   | <b>142</b>                         | <b>1,608</b> |

## შენიშვნა 13. საინვესტიციო ქონება

|                    | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|--------------------|-----------------------|-----------------------|
| ნაშთი 1 იანვარს    | 2,966                 | 2 942                 |
| დამატებები         | -                     | 24                    |
| გაყიდვები          | (2,800)               |                       |
| ნაშთი 31 დეკემბერს | <b>166</b>            | <b>2 966</b>          |

2016 წლის 19 ივლისს 2,800 ათასი ლარის მიმდინარე ღირებულების მიწის ნაკვეთი გაიყიდა არადაკავშირებულ კომპანიაზე 3,850 ათას ლარად.



მენეჯმენტის შეფასებით მიწის რეალური ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან. რეალური ღირებულება მიეკუთვნება რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეს, რადგან გამოყენებული შეფასების ტექნიკა მოიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რაც ეფუძნება ბაზარზე ბოლო გარიგებებს ან გამოცხადებულ წინადადების ფასებს მსგავს ქონებაზე.

2016 და 2015 წლებში, არ იყო აღიარებული საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან.

#### შენიშვნა 14. ინვესტიციები შვილობილ ორგანიზაციებში

|                                     | საქმიანობის<br>სფერო       | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | კუთვნილება<br>% | 31-დეკ-15<br>ლარი'000 | კუთვნილება<br>% |
|-------------------------------------|----------------------------|-----------------------|-----------------|-----------------------|-----------------|
| სს „სამედიცინო<br>კონცერნი კურაციო“ | სამედიცინო<br>მომსახურება  | 680                   | 100             | 680                   | 100             |
| შპს „ჯეოჰოსპიტალსი“                 | ჰოსპიტალური<br>მომსახურება | 10,400                | 65              | 10,400                | 65              |
| შპს „სახალხო აფთიაქი“               | სააფთიაქო<br>მომსახურება   | 1,688                 | 50              | 2,500                 | 50              |
|                                     |                            | <b>12,768</b>         |                 | <b>13,580</b>         |                 |

ყველა შვილობილი ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელების ადგილი და რეგისტრაციის ქვეყანაა საქართველო.

#### შენიშვნა 15. სხვა აქტივები

|                                               | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|-----------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| მოთხოვნები სუბროგაციიდან                      | 5,804                 | 4,446                 |
| ავანსები შვილობილ ორგანიზაციებსა და სხვა      | 3,352                 | 2,627                 |
| კონტრაგენტებზე                                | 3,548                 | -                     |
| მოთხოვნები საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან | 152                   | 118                   |
| სხვა                                          | <b>12,856</b>         | <b>7,191</b>          |

#### შენიშვნა 16. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                                                                                                                            | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| ფული სალაროში                                                                                                                              | 40                    | 41                    |
| ფული ბანკებში                                                                                                                              | 7,562                 | 6,967                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები ფინანსური<br>მდგომარეობის შესახებ ინდივიდუალურ ანგარიშგებაში<br>და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში | <b>7,602</b>          | <b>7,008</b>          |



ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია ქართული ბანკებში, რომელთა რეიტინგი „Fitch“ - ის სარეიტინგო სისტემაში შეესაბამება „B“-ს. „კომპანია“ არ ელოდება, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

## შენიშვნა 17. ჩვეულებრივი აქციები

ავტორიზებული და გადახდილი სააქციო კაპიტალი ნაჩვენებია ქვემოთ. ყოველი აქცია მფლობელს აძლევს ერთი ხმის უფლებას „კომპანიის“ აქციონერთა კრებებზე.

| ავტორიზებული და გამოშვებული კაპიტალი | 31 დეკემბერი, 2016 წ. |                          | 31 დეკემბერი, 2015 წ. |                          |
|--------------------------------------|-----------------------|--------------------------|-----------------------|--------------------------|
|                                      | აქციების<br>რაოდენობა | ნომინალური<br>ღირებულება | აქციების<br>რაოდენობა | ნომინალური<br>ღირებულება |
| ჩვეულებრივი აქციები                  | 1,500                 | 12,232                   | 1,500                 | 12,232                   |

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები სარგებლობენ დივიდენდის მიღების უფლებით.

2016 წელს „კომპანიის“ მიერ გაცხადებულმა და გაცემულმა დივიდენდებმა შეადგინა 5,160 ათასი ლარი (2015 წელს: 10,198 ათასი ლარი)

## შენიშვნა 18. სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებები

|                                      | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|--------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| გადამზღვეველზე გადასახდელი პრემია    | 4,326                 | 11,112                |
| გადამზღვეველზე გადასახდელი რეგრესები | 3,772                 | 1,660                 |
|                                      | <b>8,098</b>          | <b>12,772</b>         |

## შენიშვნა 19. საინვესტიციო კონტრაქტების ვალდებულებები

|                                          | 31-დეკ-16    | 31-დეკ-15    |
|------------------------------------------|--------------|--------------|
| რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა       |              |              |
| • ნებაყოფლობით ფონდებში                  | 12,006       | 11,881       |
| მთლიანი აქტივები მართვის ქვეშ (ლარი'000) | <b>5,906</b> | <b>5,242</b> |

მონაწილეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ინვესტიციები. ისინი შემოსავალს იღებენ „კომპანიის“ საშუალო მოგებით ვადიანი დეპოზიტებიდან.

## შენიშვნა 20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                    | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| გადასახდელი საკომისიო              | 7,535                 | 6,970                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე | 1,470                 | 1,001                 |
| ავანსად მიღებული პრემიები          | 842                   | 480                   |
| სხვა ვალდებულებები                 | 2,376                 | 1,571                 |
|                                    | <b>12,223</b>         | <b>10,022</b>         |



## შენიშვნა 21. სადაზღვევო რისკების მართვა

### ა. რისკების მართვის მიზნები და სადაზღვევო რისკების შემცირების პოლიტიკები

„კომპანიის“ მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის შეფასებას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, ჯანმრთელობას, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. ამრიგად „კომპანია“ დგას გაურკვევლობის წინაშე სადაზღვევო კონტრაქტებიდან გამომდინარე ზარალების დროის და სიმძიმის მიხედვით. მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს სტატისტიკური ტექნიკური საშუალებებით დადგენილი რიცხვისა და ზომისგან.

არა-სიცოცხლის სადაზღვევო პოლისებიდან გამომდინარე რისკი, როგორც წესი, ფარავს თორმეტვიან პერიოდს. სტანდარტული სადაზღვევო კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშვებიან ცვლილებებიდან შესაბამის საკანონმდებლო გარემოში, დაზღვეულის ქცევის ცვლილებებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ტერორისტული აქტებიდან. ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშვებიან ეპიდემიებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ჯანდაცვის ხარჯების ზრდიდან.

სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე, „კომპანია“ ასევე დგას საბაზრო რისკის წინაშე. „კომპანია“ სადაზღვევო რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რისკების გადაზღვევით, ანდერაიტინგული ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო პრინციპებითა და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

#### (i) ანდერაიტინგული სტრატეგია

„კომპანიის“ ანდერაიტინგული სტრატეგიაა მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია ისე, რომ იგი ყოველთვის შეიცავდეს სხვადასხვა სახეობის არაურთიერთდაკავშირებულ რისკებს და ამავე დროს ყველა სახეობის რისკი გადანაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტის რწმენით, ეს მიდგომა ამცირებს შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგული სტრატეგია განსაზღვრულია ბიზნეს გეგმაში, რომელიც ადგენს, რომ ბიზნესის კლასები და ქვე-კლასები გაწერილი უნდა იყოს. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის გაიდლაინების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრავენ ანდერაიტინგის დეტალურ წესებს თითოეული პროდუქტისთვის. გაიდლაინები შეიცავენ სადაზღვევო კონცეფციას და პროცედურებს, აღებული რისკის განმარტებებს, ვადებს და პირობებს, უფლებებს და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების შაბლონებს და პოლისების ნიმუშებს, ტარიფების შესახებ განმარტებებს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც იმოქმედებენ შესაბამის ტარიფებზე. ტარიფების გამოთვლა ეფუძნება ალბათობას და ცვალებადობას.

ანდერაიტინგული გაიდლაინების მოთხოვნების შესრულებას ზედამხედველობას უწევს „კომპანიის“ მენეჯმენტი ოპერატიულ რეჟიმში.



მკაცრი პოლიტიკები და პროცესები, როგორცაა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შეფასება, ზარალების მართვის პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების გამოძიება, ხორციელდება ზარალების შემცირების მიზნით. შესაძლებლობის შემთხვევაში, „კომპანია“ ახორციელებს ზარალის მიზეზების და ტენდენციების გამოკვლევებს იმ მიზნით, რომ შეამციროს მომავალში შესაძლო მოულოდნელი ნეგატიური გავლენა „კომპანიაზე“. „კომპანიამ“ ასევე შეზღუდა შესაძლო რისკი გარკვეულ კონტრაქტზე ზარალების მაქსიმალური შესაძლო ოდენობის განსაზღვრით.

## **(ii) გადაზღვევის სტრატეგია**

სადაზღვევო რისკის შემცირების მიზნით, „კომპანია“ იყენებს გადაზღვევის პროგრამას. გადაზღვევის ბიზნესის დიდი ნაწილი ეფუძნება პროპორციულ და ასევე გადაზღვევის კვოტაზე/დანაკარგის ექსცედენტზე დამყარებულ პრინციპს, საკუთარ თავზე დატოვებული სადაზღვევო რისკის ლიმიტები კი განსხვავებულია სადაზღვევო პროდუქტების მიმართულების მიხედვით (ყველა ბიზნეს მიმართულების ყველა მნიშვნელოვან რისკისათვის, „კომპანია“ აფორმებს დაზღვევას მხოლოდ ფაქულტატიური დაფარვით, მნიშვნელოვანი თანხის დაკავების გარეშე).

გადამზღვევთაგან ასანაზღაურებელი თანხების რაოდენობის პირობითი მოცულობა განისაზღვრება იგივე გზით, როგორც ეს პოლისის სავარაუდო მოგების დადგენის შემთხვევაში ხდება და ისინი აღირიცხებიან ბალანსში როგორც გადაზღვევის აქტივები. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ გაფორმებული აქვს გადაზღვევის ხელშეკრულებები, იგი არ თავისუფლდება პოლისის მფლობელთა მიმართ პირდაპირი ვალდებულებებისგან, აქედან გამომდინარე, საკრედიტო რისკი არსებობს გაფორმებულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ რომელიმე გადამზღვევმა შესაძლოა ვერ შეძლოს გადაზღვევის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. გადაზღვევა განთავსებულია მაღალი რეიტინგის კონტრაგენტებში და რისკის მაღალი კონცენტრაცია ერთ რომელიმე მათგანში თავიდან არის აცილებული იმ პოლიტიკებით, რომლებიც განსაზღვრავს თითოეულ კონტრაგენტთან რისკის განთავსების ლიმიტებს. ეს პოლიტიკები განისაზღვრება ყოველწლიურად და რეგულარულ გადახედვას საჭიროებს. ყოველი წლის დასასრულს, მენეჯმენტი ახდენს გადამზღვეველის გადახდისუნარიანობის შეფასებას, გადაზღვევის შესყიდვის სტრატეგიის განახლების და გადაზღვევის აქტივებისთვის გაუფასურების შესაბამისი ზღვარის დადგენის მიზნით.

## **ბ. სადაზღვევო კონტრაქტების პირობები და დაფარული რისკების ხასიათი**

სადაზღვევო კონტრაქტების პირობები, რომლებსაც მატერიალური გავლენა აქვთ კონტრაქტებიდან გამომდინარე მომავალი ფულადი ნაკადების რაოდენობაზე, ვადიანობასა და გაურკვეველ მომავალზე, მოყვანილია ქვემოთ. ამასთან, ეს გვაძლევს კომპანიის მთავარი პროდუქტების და მათგან გამომდინარე რისკების მართვის გზების შეფასების საშუალებას.

### **(i) სამედიცინო დაზღვევა**

პროდუქტის მახასიათებლები

„კომპანიის“ სადაზღვევო პორტფელის უდიდესი ნაწილი უკავშირდება სამედიცინო დაზღვევას. ეს კონტრაქტები ანაზღაურებენ სამედიცინო ჩარევებს და ჰოსპიტალურ ხარჯებს. პორტფელი შეადგენს „კომპანიის“ მთლიანი სადაზღვევო ბიზნესის 35%-ს, მის მიერ ნეტო გამომუშავებული პრემიის მიხედვით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პორტფელი ძირითადად შედგება ჯგუფური კორპორატიული პოლისებისგან.



#### რისკების მართვა

სამედიცინო დაზღვევა ფარავს სამედიცინო ჩარევის ძირითად საჭიროებებს. „კომპანია“ რისკებს მართავს უმეტესწილად კორპორატიული პოლისების გამოწერით და სამედიცინო გამოკვლევებით ისე, რომ ფასების განსაზღვრა ითვალისწინებდეს მიმდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობას. გარდა ამისა, „კომპანია“ იყენებს მისი შვილობილი კომპანიის კლინიკებისა და აფთიაქების მომსახურებას, წინასწარ შეთანხმებულ ფასებზე დაყრდნობით.

#### (ii) საავტომობილო დაზღვევა

##### პროდუქტის მახასიათებლები

საავტომობილო დაზღვევა მოიცავს სრულ დაზღვევას („კასკო“) და მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევას („MTPL“). პორტფელი შეადგენს „კომპანიის“ მთლიანი სადაზღვევო ბიზნესის 20%-ს, მის მიერ ნეტო გამომუშავებული პრემიის მიხედვით „კასკოს“ კონტრაქტების მიხედვით იურიდიული და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ მათი ავტომობილების მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით მიყენებული ზარალი. „MTPL“-ს მიხედვით ანაზღაურდება მესამე პირის ქონების ზიანით, სიკვდილით ან სხეულის დაზიანებით გამოწვეული კომპენსაცია. შესაბამისად, საავტომობილო დაზღვევა მოიცავს როგორც მოკლევადიან, ისე - გრძელვადიან ანაზღაურებას. მოკლე დროში დარეგულირებად შემთხვევებად მიიჩნევა დაზღვეულის ავტომობილის მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით გამოწვეული ზარალების ანაზღაურება. სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზარალების დეტალების დადგენა უფრო რთულია და მოითხოვს მეტ დროს.

#### რისკების მართვა

ზოგადად საავტომობილო დაზღვევის ზარალების მოხდენის ფაქტებსა და გაცხადებებს შორის ინტერვალი მცირეა და ზარალების სირთულე შედარებით დაბალი. მთლიანობაში დაზღვევის ამ სახეობის ზარალების ვალდებულებები განეკუთვნება დაშვებების საშუალო რისკს. „კომპანია“ აკვირდება და რეაგირებს აღდგენის და სხეულის დაზიანების ხარჯების, ასევე ქურდობის სიხშირის და უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალების ტენდენციებს.

ზარალების სიხშირე გარკვეულწილად დამოკიდებულია ამინდზე. ზარალების მოცულობა უფრო მაღალია ზამთრის პერიოდში. საავტომობილო დაზღვევის რისკების მართვა ხორციელდება ზარალების შესახებ საკუთარი სტატისტიკური ბაზის მიხედვით.

#### (iii) ქონების დაზღვევა

##### პროდუქტის მახასიათებლები

„კომპანია“ გასცემს ქონების დაზღვევის პოლისებს. ეს მოიცავს როგორც ფიზიკური პირის, ისე - იურიდიული პირის ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა დაზღვეულის ანაზღაურებას ახდენს მისი მატერიალური ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ლიმიტის შესაბამისად. პორტფელი შეადგენს „კომპანიის“ მთლიანი სადაზღვევო ბიზნესის 15%-ს, მის მიერ ნეტო გამომუშავებული პრემიის მიხედვით.

ზარალის გამომწვევი შემთხვევები, რომელიც იწვევს შენობის ან მასში განთავსებული ერთეულების დაზიანებას, ჩვეულებრივ, მოულოდნელად დგება (მაგალითად ხანძარი და ქურდობა) და გამომწვევი მიზეზის დადგენა ადვილად შესაძლებელია. შესაბამისად, ზარალის შესახებ ინფორმირება მომენტალურად ხდება და შეიძლება შეუფერხებლად მოგვარდეს. აქედან გამომდინარე, ქონებასთან დაკავშირებული ბიზნესი კლასიფიცირებულია მოკლე დროში დარეგულირებად შემთხვევად.



#### რისკების მართვა

ანდერაიტინგული რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ არ საზღვრავს სათანადოდ მის მიერ დაზღვეული სხვადასხვა ქონების პრემიებს. კერძო საკუთრების დაზღვევისთვის მოსალოდნელია, რომ იქნება მსგავსი რისკების პორტფელის მქონე დიდი რაოდენობის ქონება. ამასთან, ეს შესაძლოა არ შეეხოს კომერციულ საქმიანობას. კომერციული საკუთრების მრავალი წინადადება წარმოადგენს ადგილმდებარეობების, საქმიანობის ტიპებისა და ადგილზე არსებული უსაფრთხოების ზომების უნიკალურ კომბინაციას. რისკის შესაბამისი პრემიის გაანგარიშება ამ პოლისებისთვის სუბიექტური, და შესაბამისად რისკიანი იქნება.

ეს რისკები, პირველ რიგში იმართება ფასწარმოქმნისა და გადაზღვევის პროცესებში.

#### გ. სადაზღვევო რისკების კონცენტრაცია

„კომპანიის“ წინაშე არსებული სადაზღვევო რისკის მთავარი ასპექტი არის სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის ზომა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა „კომპანიის“ ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან შინაარსობრივად დაკავშირებულ კონტრაქტებზე. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ რისკი შეიძლება აკუმულირებული იყოს მთელ რიგ ინდივიდუალურ სახეობებში ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტრანშებში.

„კომპანიაში“ რისკების მართვის ორი მთავარი მეთოდი არსებობს. პირველი, რისკის მართვა ხდება შესაბამისი ანდერაიტინგის კუთხით. დაუშვებელია ანდერაიტერმა დაამუშაოს რისკი თუ მოგება არ იქნება რისკის შესაბამისი. მეორე არის გადაზღვევა. „კომპანია“ მისი საქმიანობის სახვადასხვა სახეობისთვის ყიდულობს გადაზღვევის უზრუნველყოფას. ის აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სარგებელს მიმდინარე რეჟიმში.



სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების შენიშვნები - 31 დეკემბერი 2016 წ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია სადაზღვევო კონტრაქტებით აღებული ვალდებულებების კონცენტრაცია (მათ შორის ამოუწურავი რისკებისგან და ასანაზღაურებელი ზარალებისგან წარმომდგომი ვალდებულებები) პროდუქტის სახეობების მიხედვით:

31 დეკემბერი, 2016 წ.

|                     | ბრუტო           |           | გადამზღვევლის წილი |           | გადამზღვევლის   |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | ნეტო            |           |
|---------------------|-----------------|-----------|--------------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|
|                     | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი     |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           |
|                     | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი    |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           |
|                     | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000          | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 |
| საავტომობილო        | 7,051           | 3,107     | 10,158             | 72        | 1               | 73        | 6,979           | 3,106     | 10,085          |           |                 |           |                 |           |
| საზღვაო და ტვირთები | 339             | 340       | 679                | 161       | 197             | 358       | 178             | 143       | 321             |           |                 |           |                 |           |
| ქონება              | 7,001           | 1,944     | 8,945              | 4,749     | 1,745           | 6,494     | 2,252           | 199       | 2,451           |           |                 |           |                 |           |
| სამედიცინო          | 13,221          | 2,520     | 15,741             | 67        | -               | 67        | 13,154          | 2,520     | 15,674          |           |                 |           |                 |           |
| საკრედიტო დაზღვევა  | 7,079           | 611       | 7,690              | 10        | 327             | 337       | 7,069           | 284       | 7,353           |           |                 |           |                 |           |
| აგრო დაზღვევა       | 27              | 799       | 826                | 19        | 558             | 577       | 8               | 241       | 249             |           |                 |           |                 |           |
| სხვა                | 4,296           | 2,056     | 6,352              | 2,415     | 1,029           | 3,444     | 1,881           | 1,027     | 2,908           |           |                 |           |                 |           |
| სულ                 | 39,014          | 11,377    | 50,391             | 7,493     | 3,857           | 11,350    | 31,521          | 7,520     | 39,041          |           |                 |           |                 |           |

31 დეკემბერი, 2015 წ.

|                     | ბრუტო           |           | გადამზღვევლის წილი |           | გადამზღვევლის   |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | ნეტო            |           |
|---------------------|-----------------|-----------|--------------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|-----------------|-----------|
|                     | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი     |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           | გამომუშავებელი  |           |
|                     | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი    |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           | პრემიის რეზერვი |           |
|                     | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000          | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 | ლარი '000       | ლარი '000 |
| საავტომობილო        | 6,634           | 1,217     | 7,851              | 47        | 1               | 48        | 6,587           | 1,216     | 7,803           |           |                 |           |                 |           |
| საზღვაო და ტვირთები | 192             | 314       | 506                | 75        | 199             | 274       | 117             | 115       | 232             |           |                 |           |                 |           |
| ქონება              | 6,372           | 623       | 6,995              | 5,155     | 531             | 5,686     | 1,217           | 92        | 1,309           |           |                 |           |                 |           |
| სამედიცინო          | 11,889          | 1,586     | 13,475             | 26        | -               | 26        | 11,863          | 1,586     | 13,449          |           |                 |           |                 |           |
| საკრედიტო დაზღვევა  | 6,405           | 1,190     | 7,595              | -         | 768             | 768       | 6,405           | 422       | 6,827           |           |                 |           |                 |           |
| აგრო დაზღვევა       | 14              | 4,223     | 4,237              | 10        | 3,879           | 3,889     | 4               | 344       | 348             |           |                 |           |                 |           |
| სხვა                | 3,818           | 1,394     | 5,212              | 2,091     | 915             | 3,006     | 1,727           | 479       | 2,206           |           |                 |           |                 |           |
| სულ                 | 35,324          | 10,547    | 45,871             | 7,404     | 6,293           | 13,697    | 27,920          | 4,254     | 32,174          |           |                 |           |                 |           |



### ძირითადი დაშვებები ასანაზღაურებელი ზარალების გამოთვლისას

ძირითადი დაშვებები უკავშირდება იმას, თუ რამდენად განსხვავებული იქნება „კომპანიის“ ზარალებთან დაკავშირებული მომავალი მდგომარეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წარსულში ზარალების განვითარების გამოცდილებისგან. აღნიშნული მოიცავს თითოეული ზარალის საანგარიშო პერიოდისთვის ზარალების საშუალო ღირებულების, ზარალების მართვის ღირებულების, ზარალების გაუფასურების ფაქტორის, ზარალების რაოდენობის, ზარალის შემთხვევებს შორის შეფერხების, ზარალების შეტყობინებისა და ანაზღაურების მაქსიმალურად მიახლოებით გამოთვლებს. იმის შესაფასებლად, თუ რატომ არის შესაძლებელი, რომ წარსულის ტენდენცია არ გამოვლინდეს მომავალში, ხდება დამატებითი კვალიფიციური განმარტებების გამოყენება, მაგალითად ერთჯერადი მოვლენა, ცვლილებები საბაზრო ფაქტორებში, როგორც არის საზოგადოების დამოკიდებულება ზარალის მიმართ, ეკონომიკური პირობები, ასევე შიდა ფაქტორები, როგორც არის აქციათა პორტფელის შემადგენლობა, პოლისის პირობები და ზარალების მართვის პროცედურები. დაშვებები ასევე გამოიყენება პირობით მაჩვენებლებზე გარე ფაქტორების (მაგალითად სასამართლოს გადაწყვეტილება და სახელმწიფო კანონმდებლობა) ზემოქმედების შესაფასებლად. სხვა დაშვებები მოიცავენ საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობას და ცვლილებებს უცხოური ვალუტის კურსებში.

### სენსიტიურობა

„კომპანიის“ მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ბიზნესის მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, „კომპანიის“ პორტფელი სენსიტიურია ძირითადად ზარალიანობის კოეფიციენტის მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ. „კომპანია“ რეგულარულად ცვლის სადაზღვევო ტარიფებს აღნიშნული პარამეტრის ცვლილების შესაბამისად, ცვლილების ნებისმიერი ტენდენციის გათვალისწინებით.

### დ. სადაზღვევო ზარალების დინამიკა

სადაზღვევო ზარალების დინამიკა განიმარტება იმისთვის, რომ მოხდეს „კომპანიის“ სადაზღვევო რისკის ილუსტრაცია. ცხრილში მოყვანილი ციფრებით ხდება ზარალის მოხდენის წლის ბაზაზე გადახდილი ზარალების შედარება ამ ზარალებისთვის შექმნილ რეზერვებთან. ცხრილის ზედა ნაწილი აჩვენებს მიმდინარე კუმულატიური ზარალების დაშვებებს და ასევე იმას თუ როგორ შეიცვალა შეფასებული ზარალები მომდევნო ანგარიშგების თუ ზარალის მოხდენის წლის ბოლოსთვის. დაშვებები იზრდება ან კლებულობს ზარალების ანაზღაურების ან გადაუხდელი ზარალების სიხშირისა და სიმძიმის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების საფუძველზე. ცხრილის ქვედა ნაწილი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენები რეზერვის და კუმულატიური ზარალების შეფასებების შეჯერებას.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია წინა წლებში გაკეთებული გადაუხდელი ზარალების დაშვებების ადეკვატურობაზე ისტორიული პერსპექტივით, მაგრამ ამ ფინანსური ანგარიშგების მკითხველმა თავი უნდა შეიკავოს მიმდინარე ასანაზღაურებელი ზარალების ნაშთებთან მიმართებაში წარსული ხარვეზების ექსტრაპოლაციისგან. „კომპანია“ თვლის, რომ 2016 წლის ბოლოსთვის მთლიან ასანაზღაურებელ ზარალებთან დაკავშირებული დაშვება ადეკვატურია. თუმცა, დარეზერვების პროცესში გარკვეული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე, არ შეიძლება მთლიანად გარანტირებული იყოს ის, რომ ეს ნაშთები საბოლოოდ ადეკვატური იქნება.



ზარალების დინამიკის ანალიზი (ბრუტო) – სულ

|                                             | ზარალის წელი |        |        |        |        | სულ     |
|---------------------------------------------|--------------|--------|--------|--------|--------|---------|
|                                             | 2012         | 2013   | 2014   | 2015   | 2016   |         |
| კუმულატიური ზარალების შეფასება              | ლარი'000     |        |        |        |        |         |
| ზარალის წელი                                | 50,581       | 63,195 | 53,615 | 47,980 | 48,885 | 264,256 |
| ერთი წლის შემდეგ                            | 49,493       | 64,084 | 56,374 | 46,868 |        |         |
| ორი წლის შემდეგ                             | 49,424       | 63,380 | 56,276 |        |        |         |
| სამი წლის შემდეგ                            | 49,354       | 63,380 |        |        |        |         |
| ოთხი წლის შემდეგ                            | 49,354       |        |        |        |        |         |
| მომხდარი ზარალების მიმდინარე შეფასება       | 49,354       | 63,380 | 56,276 | 46,868 | 48,885 | 264,763 |
| კუმულატიური გადახდები მოცემული მომენტისთვის | 49,354       | 63,102 | 55,832 | 45,680 | 39,418 | 253,386 |
| ასანაზღაურებელი ზარალების ბრუტო ვალდებულება | -            | 278    | 444    | 1 188  | 9,467  | 11,377  |

## შენიშვნა 22. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

### ა. სააღრიცხვო კლასიფიკაცია და სამართლიანი ღირებულება

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ „კომპანიის“ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება მათი მიმდინარე ღირებულებისგან, რადგან ფინანსური ინსტრუმენტების უმეტესობა მოკლევადიანია.

### ბ. მართვლობითი სტრუქტურა

„კომპანიის“ რისკების და ფინანსური მართვის სისტემის მთავარ მიზანს წარმოადგენს „კომპანიის“ აქციონერთა დაცვა ისეთი შემთხვევებისგან, რომლებიც ხელს უშლიან სტაბილური ფინანსური მომგებიანობის მიღწევას, ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოუყენებლობისაგან დაცვის ჩათვლით. უმაღლესი მენეჯმენტი აცნობიერებს ეფექტური და პროდუქტიული რისკების მართვის სისტემის არსებობის მნიშვნელობას „კომპანიაში“.

მთლიანობაში, რისკების მართვის სტრუქტურების ზედამხედველობაზე პასუხს აგებს „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო. „კომპანიის“ მენეჯმენტი პასუხისმგებელია მნიშვნელოვანი რისკების მართვაზე, რისკების მართვის და კონტროლის პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაზე, ასევე მათ დამტკიცებაზე.

რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად მიმოიხილება ბაზრის პირობებისა და „კომპანიის“ საქმიანობების ცვლილებების ასახვის მიზნით.

### გ. მარეგულირებელი სტრუქტურა

მარეგულირებლის უპირატეს ინტერესს წარმოადგენს დაზღვეულთა უფლებების დაცვა და მათი მეთვალყურეობა. ამავ დროს, მარეგულირებლები ასევე ცდილობენ უზრუნველყონ „კომპანიის“ მიერ სათანადო გადახდისუნარიანობა ბუნებრივი კატასტროფების ეკონომიკური შოკებიდან გამომდინარე გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავენ საქმიანობების დამტკიცებასა და მონიტორინგს, არამედ ასევე ადგენენ კონკრეტულ შეზღუდვებს (მაგ. კაპიტალის ადეკვატურობა) სადაზღვევო კომპანიებთან მიმართებაში გადაუხდელობისა და გადახდისუნარიანობის რისკების მინიმიზების მიზნით, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი წარმოშობისთანავე.



#### დ. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის (ALM) სტრუქტურა

ფინანსური რისკები წარმოიქმნებიან საპროცენტო განაკვეთის, ვალუტების ან კაპიტალის პროდუქტის ღია პოზიციიდან, რადგან თითოეული მათგანი ექვემდებარება ბაზრის ზოგად და სპეციფიურ ძვრებს. მთავარ რისკებს, რომლებიც „კომპანიის“ წინაშე წარმოიქმნებიან, მისი ინვესტიციების და ვალდებულებების ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენენ სავალუტო რისკებს, საკრედიტო რისკებს, საპროცენტო განაკვეთის რისკებს და სადაზღვევო რისკებს. „კომპანიის“ ALM-ს მთავარი ტექნიკა მდგომარეობს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი აქტივების და ვალდებულებების შეჯერებაში, კონტრაქტის მონაწილეთათვის გადასახდელი ანაზღაურების საფუძველზე. „კომპანიის“ ALM-ი ასევე წარმოადგენს სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერ პერიოდში შესაძლებელი იყოს საკმარისი ფულადი ნაკადის მობილიზება, სადაზღვევო კონტრაქტიდან წარმოქმნილი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

#### ე. ფინანსური რისკები

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას „კომპანიისთვის“ ყველაზე დიდ რისკს წარმოადგენს საბაზრო რისკი (საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

##### (ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

„კომპანიის“ საკრედიტო რისკების შესამცირებლად გამოიყენება შემდეგი რეგულაციები და პროცედურები:

- თითოეული მხარისათვის, ან მხარეთა ჯგუფისთვის, გეოგრაფიული და ინდუსტრიული სეგმენტისთვის, დადგენილია მაქსიმალური რისკის ზღვარი (მაგ. ლიმიტები დადგენილია ინვესტიციებისა და ფულადი დეპოზიტებისათვის, უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციებისთვის, მინიმალური საკრედიტო რეიტინგები იმ ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს).
- გადაზღვევა ხორციელდება იმ კონტრაგენტებთან, რომელთაც გააჩნიათ კარგი საკრედიტო რეიტინგი და რისკის დივერსიფიცირება შესაძლებელია მოქმედი პოლიტიკით ყოველი კონტრაგენტისთვის დადგენილი ლიმიტების შესაბამისად, რომელთა დამტკიცებაც ხდება ყოველწლიურად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ისინი რეგულარულად გადაიხედებიან. გადაზღვევაში მონაწილე მხარეებს ამტკიცებს „კომპანიის“ უმაღლესი მენეჯმენტი. ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, მენეჯმენტი ახდენს გადამზღვევის კრედიტუნარიანობის შეფასებას და გადაზღვევის შესყიდვის სტრატეგიის განახლებას, გაუფასურების შესაფერისი დასაშვები ზღვარის დადგენით.
- „კომპანია“ ადგენს მაქსიმალურ თანხებს და ლიმიტებს მხარეებთან ურთიერთობაში, მათი გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგების გათვალისწინებით.
- კლიენტთა ბალანსებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, რომლებიც წარმოიქმნებიან ანაზღაურებების ან შენატანების გადაუხდელობით, ნარჩუნდება მხოლოდ პოლისში განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ვალდებულების ამოწურვამდე ან გაუქმებამდე.



### საკრედიტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკის მაქსიმალური შესაძლო ოდენობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტებისათვის:

|                                                                                                                                                       | 2016 წ.<br>ლარი'000 | 2015 წ.<br>ლარი'000 |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| საბანკო დეპოზიტები (საქართველოს 5 უმსხვილესი ბანკი, ემიტენტის მოკლევადიანი დეფოლტის ნომინალური მოკლევადიანი რეიტინგით B, Fitch-ის რეიტინგის მიხედვით) | 16,223              | 15,537              |
| გაცემული სესხები                                                                                                                                      | 792                 | 1,133               |
| გადაზღვევის აქტივები (მინიმუმ BBB შეფასებით Standard & Poor's მიხედვით)                                                                               | 11,350              | 13,697              |
| სადაზღვევო მოთხოვნები                                                                                                                                 | 35,072              | 33,130              |
| სუბროგაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები                                                                                                               | 5,804               | 4,446               |
| მოთხოვნა საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან                                                                                                           | 3,548               | -                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                                                                                           | 7,602               | 7,008               |
| <b>სულ საკრედიტო რისკი</b>                                                                                                                            | <b>80,391</b>       | <b>74,951</b>       |

სადაზღვევო მოთხოვნების ხანდაზმულობა საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

| ლარი'000                            | ბრუტო<br>2016 | გაუფასურება<br>2016 | ბრუტო<br>2015 | გაუფასურება<br>2015 |
|-------------------------------------|---------------|---------------------|---------------|---------------------|
| ვადაგადაცილების გარეშე              | 32,450        | -                   | 30,497        | -                   |
| 0- 90-დღიანი ვადაგადაცილება         | 2,007         | -                   | 2,203         | -                   |
| 91-180-დღიანი ვადაგადაცილება        | 454           | 45                  | 289           | 27                  |
| 181-270-დღიანი ვადაგადაცილება       | 189           | 57                  | 159           | 47                  |
| 271-365-დღიანი ვადაგადაცილება       | 149           | 75                  | 111           | 55                  |
| ვადაგადაცილება წელიწადზე მეტი დროით | 3,571         | 3,571               | 3,054         | 3,054               |
|                                     | <b>38,820</b> | <b>3,748</b>        | <b>36,313</b> | <b>3,183</b>        |

„კომპანიას“ არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი პირდაპირი სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, რადგან პოლისები უქმდება და იგივენაირად უქმდება შესაბამისი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვიც. ეს ხდება მაშინ როცა არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ დაზღვეულს/დამზღვევს აღარ სურს ან არ შეუძლია პოლისის პრემიის გადახდების გაგრძელება.

„კომპანიას“ გაცემული აქვს ფინანსური გარანტიები თავის შვილობილ კომპანიაზე (იხ. შენიშვნა 25 (C)).

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ 90 დღემდე ვადაგადაცილებული თანხები სრულად მიღებადია კომპანიაში არსებული სტატისტიკიდან გამომდინარე.

### (ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომლის დროსაც „კომპანიას“ ექმნება სირთულე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებაში, რომლებიც გვარდება ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. „კომპანიის“ წინაშე ლიკვიდურობის რისკის წარმოქმნის შესამცირებლად, ხდება შემდეგი პოლიტიკების და პროცედურების გამოყენება:



- ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკა აფასებს და განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს ლიკვიდურობის რისკს „კომპანიისთვის“. პოლიტიკა რეგულარულად გადაიხედება რისკის გარემოს ცვლილების შესაბამისად.
- ნორმების დადგენა აქტივების განთავსებაზე, პორტფელის კონცენტრაციასა და აქტივების დაფარვის სტრუქტურაზე, საკმარისი დაფინანსების უზრუნველსაყოფად სადაზღვევო კონტრაქტის ვალდებულებების შესრულებისთვის.
- სარეზერვო დაფინანსების სტრატეგიის შექმნა, რომლებშიც განსაზღვრული იქნება ფონდების მინიმალური თანაფარდობა მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად, ასევე განსაზღვრული იქნება გარემოებები, რომლის დროსაც ეს სტრატეგიები იწყებენ მოქმედებას.

### ვალიანობა

„კომპანია“ ლიკვიდურობის რისკის მართვაში ვალიანობის ცხრილებს იყენებს. „კომპანიის“ ყველა ფინანსური ვალდებულება უნდა დარეგულირდეს ანგარიშგების თარიღის შემდგომი ექვსი თვის განმავლობაში. მენეჯმენტის შეფასებით, სადაზღვევო კონტრაქტებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესაბამისი გამავალი ფულადი ნაკადების შესაძლო ვალიანობა არ აღემატება ერთ წელს.

#### (გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება იქნება ცვალებადი, საბაზრო ფასების ცვლილების გამო.

„კომპანიის“ წინაშე წარმოქმნილი საბაზრო რისკების შესამცირებლად, ხდება პოლიტიკების და პროცედურების გამოყენება, რათა დადგინდეს და მონიტორინგი გაეწიოს აქტივების გადანაწილებას და პორტფელის ლიმიტების სტრუქტურას.

#### (i) სავალუტო რისკი

„კომპანიის“ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები წარმოშობენ სავალუტო რისკს. იმ შემთხვევაში, თუ ერთ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, წარმოიქმნება ღია სავალუტო პოზიცია და „კომპანია“ აღმოჩნდება კურსის ცვლილებით გამოწვეული პოტენციური რისკების წინაშე.

„კომპანიის“ მენეჯმენტი პასუხისმგებელია მუდმივად აწარმოოს გაცვლითი კურსების ცვლილების დინამიკის და უცხოური ვალუტის ბაზრის მონიტორინგი. მის მიზანს წარმოადგენს სავალუტო პოზიციების დახურვა და იმის უზრუნველყოფა, რომ ღია სავალუტო პოზიციები ყოველთვის დარჩეს ლიმიტის ფარგლებში.

სავალუტო რისკის შესამცირებლად რისკის მენეჯმენტის ფარგლებში, „კომპანია“ იყენებს ფორვარდულ კონტრაქტს. შესაბამისად, ყოველი ფინანსური წლის დასაწყისში „კომპანია“ აფორმებს ასეთ კონტრაქტს - ნომინალური ღირებულებით 3 მილიონი ევრო იმისათვის, რომ დახუროს ევროს ღია სავალუტო პოზიცია. ამგვარი კონტრაქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება ყოველი საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აქტივების და ვალდებულებების სავალუტო სტრუქტურა 2015 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.



|                                       | აშშ დოლარი<br>ლარი'000 | ევრო<br>ლარი'000 |
|---------------------------------------|------------------------|------------------|
| საბანკო დეპოზიტები                    | -                      | 8,649            |
| გადაზღვევის აქტივები                  | 3,212                  | -                |
| სადაზღვევო მოთხოვნები                 | 16,981                 | 636              |
| წინასწარ გადახდები და სხვა მოთხოვნები | 3,170                  | -                |
| ფული და ფულის ეკვივალენტი             | 282                    | 238              |
| სულ აქტივები                          | <b>23,645</b>          | <b>9,523</b>     |
| ვალდებულებები                         |                        |                  |
| სადაზღვევო კონტრაქტის                 | 4,149                  | 10               |
| ვალდებულებები                         |                        |                  |
| დაზღვევის და გადაზღვევის              | -                      | 1,770            |
| ვალდებულებები                         |                        |                  |
| ვალდებულებები საინვესტიციო            | 3,577                  | 85               |
| კონტრაქტებზე                          | 880                    | 51               |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | <b>8,606</b>           | <b>1,916</b>     |
| სულ ვალდებულებები                     |                        |                  |
| წმინდა პოზიცია 2016 წლის 31           | <b>15,039</b>          | <b>7,607</b>     |
| დეკემბრისათვის                        |                        |                  |
| წმინდა პოზიცია 2015 წლის 31           | <b>10,521</b>          | <b>8,386</b>     |
| დეკემბრისათვის                        |                        |                  |

აშშ დოლართან და ევროსთან ქართული ლარის მოსალოდნელი გამყარების ან გაუფასურების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ნომინირებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე და მათი გავლენა დაბეგვრამდე მოგებაზე და კაპიტალზე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ანალიზის მიხედვით სხვა ყველა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები რჩება უცვლელი.

|                                                    | 31-დეკ-16<br>ლარი'000 | 31-დეკ-15<br>ლარი'000 |
|----------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| აშშ დოლარის 10%-იანი აფასება ლართან მიმართებაში    | 1,278                 | 894                   |
| აშშ დოლარის 10%-იანი ჩამოფასება ლართან მიმართებაში | (1,278)               | (894)                 |
| ევროს 10%-იანი აფასება ლართან მიმართებაში          | 647                   | 713                   |
| ევროს 10%-იანი ჩამოფასება ლართან მიმართებაში       | (647)                 | (713)                 |

## (ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის რისკი, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

„კომპანიას“ არ გააჩნია მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. გარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებული ყველა ინსტრუმენტი არის მოკლევადიანი. შესაბამისად, მენეჯმენტს მიაჩნია რომ „კომპანია“ არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე.



### ვ. კაპიტალის მართვა

#### ა) კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკები და მიდგომები

კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მონიტორინგი და შეინარჩუნოს კაპიტალის სათანადო დონე, რომელიც „კომპანიის“ წინაშე არსებულ რისკების შესაბამისი იქნება. „კომპანიის“ კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად საჭირო აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის უზრუნველყოფა, გადახდის დღისთვის და მარეგულირებელი მოთხოვნების გადაჭარბება; და
- „კომპანიის“ სტაბილურობის დონის შენარჩუნება, იმისათვის რომ სრულად იქნეს უზრუნველყოფილი მომხმარებელთა უსაფრთხოების მაღალი ხარისხი.

„კომპანიის“ ინტერესია შეინარჩუნოს კაპიტალის რესურსების გარკვეული დონე იმისათვის რომ მუდმივად დააკმაყოფილოს საზედამხედველო მოთხოვნები. ტრადიციულად „კომპანიას“ გააჩნია კაპიტალის კარგი რესურსი. მისი შენარჩუნება მომავალში მნიშვნელოვანი იქნება „კომპანიისათვის“, იმისათვის რომ გაზარდოს მომგებიანობა და შეძლოს მატერიალური ზარალების გადახდა.

კაპიტალის მართვის და მონიტორინგის ნაწილია „კომპანიის“ აქტივების მართვის გეგმა, რომლის მიზანაც არის „კომპანიის“ ფონდების მინიმალური დონის მუდმივად შენარჩუნება, რომელიც განთავსებულია საქართველოს ათ უმსხვილეს ბანკში. აქტივების სტრუქტურა კონტროლდება დამფუძნებელთან გაგზავნილი ყოველთვიური რეპორტებით, რომლებიც მოიცავს ფინანსური დირექტორის მიერ დადასტურებულ მნიშვნელოვან გაანგარიშებებს.

#### ბ) მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოში სადაზღვევო სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯის უზრუნველყოფა.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 20 აპრილის ბრძანების №04 მიხედვით, მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 2,200 ათას ლარზე ნაკლები და „კომპანიას“ ნებისმიერ დროს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) გახსნილ ანგარიშებზე.

ევროკავშირის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების კაპიტალი მცირდება კონკრეტული კორექტირებებით იმისათვის, რომ მივიღოთ ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი საზედამხედველო და მინიმალური კაპიტალის ოდენობა.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ სრულ შესაბამისობაში იყო დადგენილი კაპიტალის მოთხოვნებთან და მის ვალდებულებებში, პოლიტიკებსა და პროცესებში, გასულ წელთან შედარებით არ მომხდარა რაიმე სახის მატერიალური ცვლილება.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის №15 და №16 ბრძანებების საფუძველზე განისაზღვრა გადახდისუნარიანობის მარჯის და საზედამხედველო კაპიტალის ცნება. ბრძანებებით ასევე განსაზღვრულია გადახდისუნარიანობის მარჯის და საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობის საკითხი. 2017 წელი წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს:



- მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა არ უნდა იყოს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობის 50%-ზე ან 2,200 ათას ლარზე ნაკლები 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე.
- მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა არ უნდა იყოს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობის 75%-ზე ან 2,200 ათას ლარზე ნაკლები 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 1 იანვრამდე.
- მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა არ უნდა იყოს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის სრულ ოდენობაზე ან 2,200 ათას ლარზე ნაკლები 2018 წლის 1 იანვრიდან.

საზედამხედველო კაპიტალის მისაღებად ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული კაპიტალი მცირდება: ინვესტიციებით შვილობილ კომპანიებში, ინვესტიციებით მეკავშირე კომპანიებში, არაუზრუნველყოფილი სესხებით და ასე შემდეგ. როგორც მითითებულია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №16 ბრძანებაში.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის „კომპანიის“ საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მარჟის თანაფარდობა არ იყო დარღვეული.

## შენიშვნა 23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

| დასახელება                           | კავშირი                 | ტრანზაქციები | ნაშთი        |
|--------------------------------------|-------------------------|--------------|--------------|
|                                      |                         | 2016         | 31 დეკემბერი |
|                                      |                         | ლარი'000     | 2016         |
|                                      |                         |              | ლარი'000     |
| სს „სამედიცინო კონცერნი კურაციო“     | შვილობილი კომპანია      |              |              |
| ანაზღაურებული ზარალები               |                         | 3,910        | 128          |
| საიჯარო შემოსავალი                   |                         | 41           | -            |
| გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები*  |                         | -            | 345          |
| საპროცენტო შემოსავალი                |                         | 9            | -            |
| შპს „სახალხო აფთიაქი“                | შვილობილი კომპანია      |              |              |
| ანაზღაურებული ზარალები               |                         | 3,765        | -            |
| წინასწარ გადახდილი ზარალი**          |                         | -            | 1,411        |
| გაცემული სესხები(არაუზრუნველყოფილი)* |                         | -            | 133          |
| საპროცენტო შემოსავალი                |                         | 19           | 115          |
| შპს „ჯეოჰოსპიტალსი“                  | შვილობილი კომპანია      |              |              |
| ანაზღაურებული ზარალი                 |                         | 216          | 285          |
| საპროცენტო შემოსავალი                |                         | 7            | -            |
| ფორვარდული კონტრაქტი***              |                         | 205          | 205          |
| GPIH B.V. (ჯიპიაიეიზ ბივი)           | წილის მფლობელი კომპანია |              |              |
| დივიდენდის განაწილება                |                         | 4,644        | -            |
| შპს „სოფტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“      | წილის მფლობელი კომპანია |              |              |
| დივიდენდის განაწილება                |                         | 516          | -            |



| დასახელება                                                           | კავშირი                            | ტრანზაქციები<br>2016<br>ლარი'000 | ნაშთი<br>31 დეკემბერი<br>2016<br>ლარი'000 |
|----------------------------------------------------------------------|------------------------------------|----------------------------------|-------------------------------------------|
| ვენის სადაზღვევო ჯგუფი (VIG)                                         | დამფუძნებელი                       |                                  |                                           |
| გადაზღვევის პრემია                                                   |                                    | 273                              | 125                                       |
| გადამზღვევლის წილი პრემიის მთლიან თანხაში<br>და ანაზღაურებულ ზარალში |                                    | 313                              | -                                         |
| „ირაო“                                                               | იგივე<br>დამფუძნებლის<br>შვილობილი |                                  |                                           |
| მოზიდული პოლისები                                                    |                                    | 63                               | 86                                        |
| ანაზღაურებული ზარალი                                                 |                                    | 3,596                            | -                                         |
| ფორვარდული კონტრაქტი ***                                             |                                    | 75                               | 517                                       |
| გადამზღვევლის წილი პრემიის მთლიან თანხაში<br>იჯარის ხარჯი            |                                    | -                                | 197                                       |
|                                                                      |                                    | 310                              | -                                         |
| VIG Rezaishi'ovna, a.s.                                              | იგივე<br>დამფუძნებლის<br>შვილობილი |                                  |                                           |
| გადაზღვევის წილი პრემიის მთლიან თანხაში                              |                                    | 3,617                            | -                                         |
| გადამზღვევლის წილი პრემიის მთლიან თანხაში<br>და ანაზღაურებულ ზარალში |                                    | 4,403                            | -                                         |
| გადაზღვევიდან წარმოქმნილი ვალდებულება                                |                                    | -                                | 3,170                                     |

\* დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები ნომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთია 10-12%.  
\*\* წინასწარ გადახდილი ზარალების მოსალოდნელი გაქვითვა მოხდება საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. მათზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

\*\*\* „ირაოსთან“ და „ჯეოჰოსპიტალთან“ გაფორმებული ფორვარდული კონტრაქტებით ჰეჯირებულია კომპანიის ევროს ღია სავალუტო პოზიცია შესაბამისად, 1 და 2 მლნ ევროს ოდენობით. კონტრაქტების დასრულების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბერი. (იხ. 22-ე შენიშვნა).

| დასახელება                       | კავშირი               | ტრანზაქციები<br>2015<br>ლარი'000 | ნაშთი<br>31 დეკემბერი<br>2015<br>ლარი'000 |
|----------------------------------|-----------------------|----------------------------------|-------------------------------------------|
| სს „სამედიცინო კონცერნი კურაციო“ | შვილობილი<br>კომპანია |                                  |                                           |
| ანაზღაურებული ზარალები           |                       | 3,854                            | 24                                        |
| სხვა გადახდილი ავანსები          |                       | -                                | 7                                         |
| საიჯარო შემოსავალი               |                       | 24                               | -                                         |
| შპს „სახალხო აფთიაქი“            | შვილობილი<br>კომპანია |                                  |                                           |
| ანაზღაურებული ზარალები           |                       | 5,084                            | -                                         |
| წინასწარ გადახდილი ზარალი        |                       | -                                | 1,339                                     |
| გაცემული უზრუნველყოფილი სესხი    |                       | -                                | 266                                       |
| საპროცენტო შემოსავალი            |                       | 115                              | 96                                        |
| შპს „ჯეოჰოსპიტალსი“              | შვილობილი<br>კომპანია |                                  |                                           |
| ანაზღაურებული ზარალი             |                       | 209                              | 69                                        |
| გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხი |                       | -                                | 604                                       |
| საპროცენტო შემოსავალი            |                       | 294                              | 22                                        |



| დასახელება                                                         | კავშირი                      | ტრანზაქციები | ნაშთი        |
|--------------------------------------------------------------------|------------------------------|--------------|--------------|
|                                                                    |                              | 2015         | 31 დეკემბერი |
|                                                                    |                              | ლარი'000     | 2015         |
|                                                                    |                              |              | ლარი'000     |
| <b>GPIH B.V. (ჯიპიაიეიზ ბივი)</b>                                  | წილის მფლობელი კომპანია      |              |              |
| სხვა მოთხოვნები                                                    |                              | 139          | -            |
| შპს „სოფტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“                                    | წილის მფლობელი კომპანია      |              |              |
| სხვა მოთხოვნები                                                    |                              | 119          | -            |
| ვენის სადაზღვევო ჯგუფი (VIG)                                       | დამფუძნებელი                 |              |              |
| გადაზღვევის პრემია                                                 |                              | 214          | 427          |
| გადამზღვეველის წილი პრემიის მთლიან თანხაში და ანაზღაურებულ ზარალში |                              | 710          | -            |
| „ირაო“                                                             | იგივე დამფუძნებლის შვილობილი |              |              |
| მოზიდული პოლისები                                                  |                              | 226          | 1,929        |
| ანაზღაურებული ზარალი                                               |                              | 3,089        | 3,691        |
| შემოსავალი სადაზღვევო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვიდან         |                              | 68           | 118          |
| ფორვარდული სავალუტო კონტრაქტი (ზარალი)                             |                              | 850          | 560          |
| გადაზღვევის პრემია                                                 |                              | 133          | 181          |
| იჯარის ხარჯი                                                       |                              | 240          | 24           |
| <b>VIG Rezaishi'ovna, a.s.</b>                                     | იმავე დამფუძნებლის შვილობილი |              |              |
| გადაზღვევის პრემია                                                 |                              | 7,767        | -            |
| გადამზღვეველის წილი პრემიის მთლიან თანხაში და ანაზღაურებულ ზარალში |                              | 9,861        | -            |
| გადაზღვევიდან წარმოქმნილი ვალდებულება                              |                              | -            | 6,359        |
| თანამშრომლებზე გაცემული სესხები                                    |                              | 102          | 102          |

## შენიშვნა 24. მენეჯმენტის ანაზღაურება

„კომპანიის“ 5 დირექტორის ანაზღაურება 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

|                             | 2016     | 2015     |
|-----------------------------|----------|----------|
|                             | ლარი'000 | ლარი'000 |
| ხელფასები                   | 887      | 792      |
| ბონუსები                    | 542      | 520      |
| სხვა სარგებელი              | 5        | 5        |
| სულ მენეჯმენტის ანაზღაურება | 1,434    | 1,317    |



## შენიშვნა 25. პირობითი ვალდებულებები

### ა. სასამართლო დავები

საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში „კომპანია“ მონაწილეობს სასამართლო დავებში, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ზარალებს და სუბროგაციულ მოთხოვნებს. ანგარიშგების თარიღისთვის არ მიმდინარეობს რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.

### ბ. საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ „კომპანიას“ დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### გ. სესხებთან დაკავშირებული ვალდებულება

2015 წლის 20 დეკემბრისთვის „კომპანია“, დაკავშირებულ მხარეებთან ერთად, გახდა სასესხო შეთანხმების მონაწილე, რომლის თანახმადაც „კომპანია“ იძლევა გარანტიას, რომ დაფარავს სესხს საბალანსო ღირებულებით 15 998 ათასი ევრო, (2015 წელს: 16 399 ათასი ევრო) იმ შემთხვევაში თუ შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. თავდებობა კომპანიის მიერ გაცემულია უსასყიდლოდ. შპს „ჯეოჰოსპიტალსის“ სესხის დასრულების ვადა არის 2025 წლის 31 დეკემბერი.

არსებული სასესხო ვალდებულება აღირიცხება იმ მაქსიმალურ ზარალის ოდენობით, რომელიც აღიარებული იქნება ანგარიშგების თარიღისთვის თუ მხარეები საერთოდ ვერ შეასრულებენ კონტრაქტის პირობებს.

2016 წლის 31 დეკემბრისთვის არცერთი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მხარეებს შორის შეთანხმებული საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია. შესაბამისად, ანარიცხების აღიარებას ადგილი არ ჰქონია.

## შენიშვნა 26. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.



#### ა. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

„კომპანიის“ კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები არიან შვილობილი კომპანიები. კონტროლში იგულისხმება „კომპანიის“ მიერ ამა თუ იმ ორგანიზაციაში ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკების მართვის უფლების (პირდაპირი ან ირიბი) განხორციელება, იმ მიზნით რომ „კომპანიამ“ მიიღოს სარგებელი ამ საქმიანობიდან. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღრიცხულია თვითღირებულებით იმ თარიღიდან როდესაც გავრცელდა კონტროლი, მის დასრულებამდე.

მეკავშირე საწარმოები არიან ორგანიზაციები, რომლის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე ვრცელდება „კომპანიის“ მნიშვნელოვანი გავლენა (და არა კონტროლი). მნიშვნელოვანი გავლენა წარმოიშობა მაშინ როდესაც „კომპანია“ მეორე ორგანიზაციაში ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება, როგორც თვითღირებულებას მინუს გაუფასურების ზარალი.

#### ბ. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის განმავლობაში მოქმედი საპროცენტო განაკვეთებით და გადახდებით დაკორექტირებული პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებული უცხოური ვალუტის ამორტიზირებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდებიან ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

კურსთაშორისი სხვაობები აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი.

#### გ. სადაზღვევო კონტრაქტები

##### (i) კონტრაქტების კლასიფიცირება

კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც „კომპანია“ იღებს სადაზღვევო რისკს სხვა მხარისგან („დაზღვეული“), იმის შესახებ, რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებლეზე კლასიფიცირდებიან, როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

სადაზღვევო რისკი განსხვავდება ფინანსური რისკისგან.

ფინანსური რისკი ეხება ერთი ან მეტი კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის და სასაქონლო ღირებულების, სავალუტო კურსების, ფასების და განაკვეთების ინდექსების, საკრედიტო რეიტინგის და ინდექსების ან სხვა ცვლადების მომავალში შესაძლო ცვლილებებს, სადაც არაფინანსური ცვლადი არ არის განსაზღვრული კონტრაქტის მხარისათვის. სადაზღვევო კონტრაქტი შეიძლება ატარებდეს გარკვეულ ფინანსურ რისკს.



სადაზღვევო რისკი კლასიფიცირდება მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ, როდესაც სადაზღვევო შემთხვევამ „კომპანიისთვის“ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება. კონტრაქტი სადაზღვევოდ კლასიფიცირდება სანამ ყველა უფლება და მოვალეობა არ იქნება ამოწურული ან ვადაგასული. ისეთი კონტრაქტები, რომლის საფუძველზეც ხდება უმნიშვნელო სადაზღვევო რისკების კომპანიისთვის გადაცემა, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური გარანტიების კონტრაქტები მიღებულია როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

## *(ii) კონტრაქტების აღიარება და შეფასება*

### *სადაზღვევო პრემიები*

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში შეყვანილ პრემიებს, იმის მიუხედავად მთლიანად უკავშირდება ის ხსენებულ საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. მოზიდული პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლის სახით. პრემიები გამომუშავდება პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად (პროპორციული მეთოდით). გადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურად (პროპორციული მეთოდით). გადაზღვევის პრემიის ის ნაწილი რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად, მიჩნეულია გადაზღვევის აქტივად.

### *პოლისების გაუქმება*

პოლისები უქმდება მაშინ როცა არის ობიექტური დაშვება იმისა რომ დაზღვეული/დამზღვევი აღარ ან ვეღარ იხდის სადაზღვევო პრემიას. შესაბამისად გაუქმება ძირითადად მოქმედებს ისეთ პოლისებზე სადაც პირობების მიხედვით პრემია გადაიხდება განვადებით.

### *გამომუშავებული პრემიის რეზერვი*

გამომუშავებული პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო ან შემდეგი წლების განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალკე ყოველი სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად პროპორციული მეთოდით.

### *სადაზღვევო ზარალები*

წმინდა დამდგარი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს, სუბროგაციული ხარჯების გამოკლებით და ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის მოძრაობის გათვალისწინებით. ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების „კომპანიის“ მიერ დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების რეზერვების გამოთვლებს საანგარიშგებო პერიოდის უკანასკნელი დღისთვის, როგორც გაცხადებულის ასევე განუცხადებელი.

ასანაზღაურებელი ზარალები ფასდება ზარალის ინდივიდუალური განხილვის და მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვების გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორიც არის სამართლებრივი ცვლილებები და წარსული გამოცდილებები და ტენდენციები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება.

დაგეგმილი გადაზღვევის მისაღები თანხები აღიარებულია როგორც აქტივი. გადაზღვევის ანაზღაურების თანხა დგინდება იგივენაირად როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეგულირებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როცა გაკეთდა კორექტირება, ხოლო მატერიალურობის შემთხვევაში ცალკე განიმარტებიან. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა რეგულარულად ხდება.



### (iii) გადაზღვევა

„კომპანია“ ახორციელებს გადაზღვევას საქმიანობის განხორციელების ნორმალურ პირობებში, შენარჩუნებული რისკის ლიმიტები კი განსხვავდება სადაზღვევო პროდუქტების მიმართულებების მიხედვით. გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ვალდებულებებსა და ასანაზღაურებელ ზარალებში წარმოდგენილია განცალკევებულად „კომპანიის“ ბალანსში, საკრედიტო დანაკარგების კორექტირებების გამოკლებით, მენეჯმენტის შეფასებების მიხედვით.

გადამზღვევლის ვალდებულება „კომპანიის“ მიმართ ამ უკანასკნელს არ ათავისუფლებს ვალდებულებებისგან დაზღვეულთა წინაშე.

გადამზღვევლის წილი პრემიები და ანაზღაურებები წარმოდგენილია მოგება-ზარალის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში (ბრუტო საფუძველზე).

### (iv) გადავადებული აკვიზიციური ხარჯი (DAC)

ფინანსური პერიოდის განმავლობაში გაწეული ის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები მომავალში ანაზღაურდება მიღებული სადაზღვევო პრემიებიდან. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯები აღიარდება ხარჯებად იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზოგადი დაზღვევისა და ჯანმრთელობის პროდუქტების გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ამორტიზირდება იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც ხდება დაკავშირებული შემოსავლების გამომუშავება.

### (v) ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება, გამოუმუშავებული პრემიების ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოკლებით. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირების საპროგნოზო მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი, შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი ჩამოიწერება, და, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკების რეზერვი). ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

### (vi) სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მოთხოვნები და მათი გაუფასურების განხილვა ხდება მოთხოვნების გაუფასურების ტესტირების მიხედვით.

სადაზღვევო მოთხოვნების აღიარება ხდება პოლისის გაცემისას და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურების განხილვა ხდება როგორც ინდივიდუალური ბალანსების დონეზე, ასევე ჯამურად იმ ნაშთებზე, რომლებიც არ მოხვდნენ ინდივიდუალურ განხილვაში. როდესაც მოვლენები ან ვითარებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### დ. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ბალანსში მოიცავენ ხელზე არსებულ ფულად ნაშთებსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს, შეძენის დღიდან სამი თვით ან ნაკლებ ვადიანობით, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.



ე. ფინანსური ინსტრუმენტები

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და შეფასება

„კომპანია“ თავდაპირველად აღიარებს სესხებს და ვალდებულებებს, საბანკო დეპოზიტებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს მათი წარმოშობის დღეს.

სესხები და მოთხოვნები რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდები მიეკუთვნება იმ ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების დამატებით. პირველადი აღიარების შემდეგ სესხები და მოთხოვნები ითვლება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხების და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს:

- სადაზღვევო მოთხოვნებს, შენიშვნის 22 შესაბამისად; და
- მოთხოვნები სუბროგაციიდან, შენიშვნის 15 შესაბამისად.

„კომპანია“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გამოკლებით. პირველადი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები ითვლება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სადაზღვევო და გადაზღვევის გადასახდელებს.

(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მაშინ როდესაც ამოიწურება აღნიშნული აქტივებიდან ფულადი სახსრების შემოძინების მიღების უფლება ან „კომპანია“ გადასცემს ფულადი სახსრების შემოძინების უფლებას სხვა მხარეს ისეთ ტრანზაქციაში, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის კუთვნილებასთან დაკავშირებული სარგებელი სრულად არის გასხვისებული. გასხვისებულ ფინანსურ აქტივიდან წარმოშობილი ან „კომპანიის“ მიერ დატოვებული ნებისმიერი მონაწილეობა გასხვისებულ ფინანსურ აქტივში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც წყდება, უქმდება ან ვადა გასდის მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

(iii) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიეთითება წმინდა ღირებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნია იურიდიული უფლება ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და ასევე გააჩნია განზრახვა ანგარიშსწორება მოახდინოს ნეტო საფუძველზე ან გასცეს აქტივები და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

„კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნია იურიდიული უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და ხორციელდება, როგორც საქმიანობის ფუნქციონირების ნორმალურ პროცესში, ასევე „კომპანიის“ და ყველა კონტრაგენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუნარიანობის და გაკოტრების შემთხვევაში.



*(iv) მოგება და ზარალი აღიარების შემდგომი შეფასებებისას*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, შემოსავალი ან ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება, როდესაც ადგილი აქვს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ან გაუფასურებას, და ასევე ამორტიზაციის პროცესში.

**ვ. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ კვალიფიცირდება საინვესტიციო ქონებად, წარდგენილია თვითღირებულებით, რომელშიც არ არის ჩართული ყოველდღიური შეკეთებისა და მოვლის ხარჯები და რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების თანხებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ აქტივების შეძენისთვის არის განკუთვნილი და აუცილებელია მათი მიზანმიმართულად გამოყენებისათვის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით გამოანგარიშდება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების გათვალისწინებით:

- |                                          |            |
|------------------------------------------|------------|
| • შენობები                               | 25-50 წელი |
| • კომპიუტერები და შესაბამისი აღჭურვილობა | 3-5 წელი   |
| • ავტომობილები                           | 2-7 წელი   |
| • საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი           | 7-10 წელი  |

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის ბალანსიდან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი გათვალისწინებულია იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ყველა გაწეული ხარჯი რომელიც ძირითადი საშუალების რომელიმე კომპონენტის შეცვლას უკავშირდება, აღიარდება საბალანსო ღირებულებით, თუ მოსალოდნელია მისი მეშვეობით კომპანიისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღება და ასევე შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის ჩამოწერა ხდება მისი ნარჩენი ღირებულებით. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები, როგორც არის შეკეთების და შენახვის ხარჯები, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ამგვარი ხარჯის გაღებას ჰქონდა ადგილი.

**ზ. საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირდება ის ქონება რომელიც გამოიმუშავებს საიჯარო შემოსავალს ან მომართულია კაპიტალის გაზრდისკენ, ან ორივე ერთად. საინვესტიციო ქონება მოიცავს მოცემული მომენტისთვის განუსაზღვრელი მომავალი გამოყენების მიზნის მქონე ქონებას. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს აქტივის ნაწილის გამოცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებსაც, თუკი ეს დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, მაგრამ არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების და მიმდინარე შეკეთების დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება მისი თვითღირებულებით რაიმე გაუფასურების ღირებულების გამოკლებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შენობის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის შეადგენს 50 წელს.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება მოსალოდნელი აღარ არის. აქტივის ბალანსიდან



ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი გათვალისწინებულია იმ წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის ჩამოწერას ან გაყიდვას ჰქონდა ადგილი.

აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება საკუთარი მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის აქტივის გამოყენების დასრულებით და მისი იჯარით გადაცემით სხვა მხარისათვის. აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება მესაკუთრის საქმიანობის ან აქტივის გაყიდვისათვის მომზადების დაწყებით.

## თ. გაუფასურება

### (i) ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების გაუფასურებული ღირებულებით ასახვა ძირითადად მოიცავს სესხებს და მოთხოვნებს („სესხები და მოთხოვნები“). „კომპანია“ სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურებას რეგულარულად აფასებს. სესხები და მოთხოვნები გაუფასურდება და გაუფასურების ზარალი დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი აქვს გაუფასურებას ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომლებიც წარმოიშვა სესხების და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომ მოვლენას (ან მოვლენებს) გავლენა აქვთ სესხებისა და მოთხოვნების მომავალ ფულად ნაკადებზე, რომლებიც შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული.

„კომპანია“ სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს აფასებს ინდივიდუალურად და ერთობლივად. თავდაპირველად „კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი აქვს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურებას, ხოლო ისეთი სესხებისა და ვალდებულებების, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, გაუფასურების შეფასება ხდება ინდივიდუალურად ან ერთობლივად.

თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისა და ვალდებულებებისთვის, მნიშვნელოვანი თუ სხვა, ის მოიცავს სესხებს და ვალდებულებებს სესხებისა და ვალდებულებების ჯგუფში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებაზე. სესხები და ვალდებულებები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდებიან გაუფასურებაზე და რომლისთვისაც გაუფასურების ზარალის აღიარება არ არის შესული გაუფასურების ერთიან შეფასებაში.

სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურების წარმოშობის შესახებ ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ზარალის თანხა ფასდება როგორც სხვაობა სესხებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და ნავარაუდევო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფებიდან ამოღებადი თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირდება სესხების და მოთხოვნების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და ისტორიული დანაკარგების გამოცდილება დაკორექტირებული მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შესაბამისად უზრუნველყოფს საფუძველს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შესაფასებლად.

როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის შემცირებას და შემცირება ობიექტურად შეიძლება დაკავშირებული იყოს მოვლენასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაუფასურების აღიარების შემდეგ, გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.



## *(ii) არაფინანსური აქტივები*

სხვა არაფინანსური აქტივები, რომლებიც განსხვავდებიან გადავადებული გადასახადებისგან, ფასდება თითოეულ საანგარიშგებო დღეს, გაუფასურების შესახებ ნებისმიერი ნიშნების არსებობისთვის. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ორი ღირებულებიდან უდიდესი თანხის საფუძველზე: აქტივის გამოყენებითი ღირებულება და მისი რეალური ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების და აქტივისთვის სპეციფიური რისკის მიმდინარე საბაზრო შეფასებას. იმ აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება, რომლებიც არ ახდენენ ფულადი ნაკადების გენერირებას, განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ან მისი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული აღემატება მის აღდგენით ღირებულებას.

არაფინანსური აქტივებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში, ხოლო მისი აღდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლებში. გაუფასურების ზარალი აღდგება იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს საწყის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალის აღიარებამდე (ცვეთის და ამორტიზაციის გარეშე).

## *ი. ანარიცხები*

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს წარსული მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, ამავე დროს სავარაუდოა, რომ „კომპანიას“ მოუწევს ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გაცემა, და ამავედროულად შესაძლებელია გაკეთდეს ვალდებულების თანხის გონივრული შეფასება.

## *კ. გადასახადები*

### *(i) მოგების გადასახადი*

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

### *(iii) მიმდინარე გადასახადი*

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადელი წლის დასაბეგრო მოგებაზე, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით. ასევე წინა წლის გადასახადებში ცვლილების შედეგად წარმოშობილი გადასახადელი. გადასახადელი მოგების გადასახადი ასევე მოიცავს დივიდენდის გადახდასთან დაკავშირებულ შესაძლო საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებით (რომელიც ასევე ცნობილია კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელწოდებით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოიცავს 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასახადო პერიოდებს ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.



მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ ნიშნავს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას. შეიცვალა მხოლოდ მოგების გადასახადით დაბეგვრის მომენტი, რომელმაც გადაინაცვლა მოგების გამომუშავების მომენტიდან მისი განაწილების მომენტამდე. ეს ნიშნავს, რომ მთავარი დაბეგვრის ობიექტი არის განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, განაწილებულ მოგებად ითვლება დამფუძნებლებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება. ასევე მოგების განაწილებად ითვლება გარკვეული ოპერაციები, მაგალითად, დაკავშირებულ მხარეებთან არა გაშლილი ხელის პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციები და გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირებთან განხორციელებული გარიგებები. საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, საქონლის უსასყიდლო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს ლიმიტს ზემოთ.

2008-2016 წლების შესაბამის გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია, თუ მათი განაწილება მოხდება 2019 წელს ან მომდევნო წლებში.

დივიდენდის გადახდის შედეგად წარმოქმნილი გადასახდელი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როცა მოხდა დივიდენდის გაცხადება, მიუხედავად იმისა, რომელ პერიოდს მიეკუთვნება დივიდენდი ან როდის მოხდა მისი ფაქტიური გადახდა.

### (iii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადის დასათვლელად გამოიყენება საბალანსო ვალდებულების მეთოდი, რაც გულისხმობს დროებით განსხვავებას საანგარიშგებო პერიოდის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და დასაბეგრ ოდენობას შორის. შემდეგი სახის დროებითი სხვაობები არ წარმოიშვება: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შეიღობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მაკონტროლებელ ორგანიზაციას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის ცვლილების განრიგი და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შეიცვლება. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გაყიდვას ან დაფარვას 2019 წლის პირველ იანვრამდე, არსებული საგადასახადო განაკვეთების მიხედვით.

გადავადებული გადასახადი აღიარებულია იმ ზომით, რომ შესაძლო სამომავლო დასაბეგრი მოგება გამოყენებულ იქნას 2019 წლის პირველ იანვრამდე დროებითი სხვაობების, გამოყენებული გადასახადების და მოგებების დასაფარად. გადავადებული გადასახადის გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის და ასევე ხდება მისი შემცირება ისეთ დონემდე, როდესაც უკვე აღარ იქნება შესაძლებელი დაკავშირებული გადასახადების რეალიზაცია.

ზემოთ აღნიშნული ახალი საგადასახადო სისტემის ამოქმედებიდან გამომდინარე, 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს არ ექნებათ განსხვავებები აქტივების საგადასახადო და მიმდინარე ღირებულებებს შორის. შედეგად არ წარმოიშობა გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება.

### ლ. საპროცენტო შემოსავალი, ხარჯები, მოსაკრებლები და საკომისიო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია მოგება ან ზარალში მათი დარიცხვის მიხედვით, აქტივის ან ვალდებულების ეფექტური ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს ნებისმიერი დისკონტის, პრემიის ან საპროცენტო ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებასა და ვადიანობის დადგომისას მის თანხას შორის სხვაობების ამორტიზებას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.



სესხის ორგანიზების, მომსახურების, და სხვა ხარჯები, რომლებიც მიიჩნევა სესხის მთლიანი მომგებიანობის შემადგენელ ნაწილად, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, გადავადდება და უფასურდება საპროცენტო შემოსავალზე ფინანსური ინსტრუმენტის ხანგრძლივობის მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა გადასახადი და საკომისიო შემოსავალი აღიარებულია შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

მ. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ არის ძალაში შესული

რამდენიმე ახალი სტანდარტი, ცვლილება და ინტერპრეტაცია ჯერ ძალაში შესული არ არის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ისინი არ არის გამოყენებული წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. ქვემოთ მოყვანილი გაცხადებული ცვლილებები ან სიახლეები იმოქმედებენ „კომპანიის“ საქმიანობაზე. „კომპანია“ აპირებს მიიღოს აღნიშნული სიახლეები მას შემდეგ რაც ისინი შევა ძალაში.

- ფასს 9 – 2014 წლის ივლისის გამოქვეყნებული ფასს 9 ჩანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ფასს 9-ის ცვლილების პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს სადაზღვევო კომპანიებს გამოიყენონ ფასს 9 წინამორბედ ფასს 9-სთან ერთად სახელშეკრულებო მიზნებისთვის. ასეთ შემთხვევაში, ფასს 9 იმოქმედებს 2021 წლამდე.
- ფასს 15 - ეს სტანდარტი ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 *შემოსავალი*, ბასს 11 *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფასს 13 *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები*. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. „კომპანია“ ამ მომენტისთვის არ იღებს ახალ სტანდარტს, როგორც „კომპანიის“ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენის მქონე დოკუმენტს, რადგან ფასს 15 არ ეხება სადაზღვევო კომპანიებს.
- ფასს 16 ჩანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 *ლიზინგი*, ფასს 4 *როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას*, იმ 15 *საოპერაციო იჯარა - სტიმულირება* და იმ 27 *გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას*. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს მხოლოდ საბალანსო ანგარიშგების მოდელს, რომელიც მიმდინარე ფინანსური იჯარის ანალოგიურია. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც *შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან*. მისი გავლენა ჯერ არ არის სრულად გამოკვლეული, თუმცა, „კომპანიას“ მიაჩნია, რომ სტანდარტს არ ექნება არსებითი გავლენა „კომპანიის“ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.



- განმარტებითი შენიშვნების ინიციატივა (ბასს 7-ის ცვლილება). აღნიშნული ცვლილება მოითხოვს განმარტებითი შენიშვნის გაკეთებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ცვლილებები ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებში. ცვლილება მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია. ახალი ცვლილების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად „კომპანია“ აპირებს წარადგინოს ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთების რეკონსილირება.

## შენიშვნა 27. ანგარიშგების შედგენის შემდგომი მოვლენები

\* \* \* \* \*